

A top-down photograph showing a person's hands holding a document. The person is wearing a yellow and red beaded bracelet on their left wrist and a watch on their right wrist. They are wearing a light-colored t-shirt and sneakers. The background is a large pile of crumpled white papers, some of which have a green logo. The lighting is warm, and the overall scene suggests a process of sorting or reviewing documents.

2021 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების მონიტორინგი

2021

**2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის
არჩევნების მონიტორინგი**



ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორები: ლაზარე ჭიბლაძე
ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

ანგარიშის ყდაჯა: HRC-ის დამკვირვებლის, ეკა ქობესაშვილის ფოტო

არასამთავრობო ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ: www.humanrights.ge

ვებ-საიტი: www.hrc.ge

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND



ანგარიში მომზადდა აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდის პროექტის, „შავი ზღვის ნდობისა“ და ლია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების ან მისი პარტნიორების პოზიციას. შესაბამისად, დონორი ორგანიზაციები პასუხისმგებელი არ არიან ანგარიშის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	6
პოლიტიკური კონტექსტი.....	8
საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო	11
საარჩევნო პროცესი კენჭისყრის დღემდე.....	19
საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია	20
ამომრჩეველთა ერთიანი სიები	20
ძალადობის, დაშინებისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები წინასაარჩევნო პერიოდში	21
მოქმედი მერები მერობის კანდიდატებად	22
ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების სხვა შემთხვევები	25
საჯარო მოხელეები საოლქო საარჩევნო კომისიებში	28
წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წესების დარღვევა	29
უნყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შეფასება	36
მედიაგარემო	38
COVID-19 და არჩევნები	42
არჩევნები და ეთნიკური უმცირესობები	45
კენჭისყრის დღის შეფასება.....	49
საარჩევნო უზნებთან ხელისუფლების მხარდამჭერების მობილიზაცია.....	54
დამკვირვებლების საქმიანობისთვის ხელის შეშლა	56
კენჭისყრის ფარულობის დარღვევა	57
საექვო რეპუტაციის სადამკვირვებლო ორგანიზაციები.....	57
კოვიდ რეგულაციების დაცვა	58
პირველი ტურიდან მეორე ტურამდე.....	58
მეორე ტური	61
არჩევნების მე-2 ტურის სადამკვირვებლო მისია	61
ძირითადი მიგნებები.....	62
მედიამონიტორინგის ძირითადი ასპექტები	65
დასკვნა	67
რეკომენდაციები	68

შესავალი

პროექტი „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი საქართველოში“ ადამიანის უფლებათა ცენტრმა (HRC) 2021 წლის ივლისში დაიწყო¹. არჩევნების მონიტორინგი შესაძლებელი გახდა ღია საზოგადოების ფონდისა და აშშ-ის გერმანული მარშალის ფონდის პროექტის, „შავი ზღვის ფონდი - რეგიონალური თანამშრომლობისათვის“ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში.

მონიტორინგის პროექტების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ძირითადი მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში ჩატარების ხელშეწყობა იყო. ამდენად, პროექტების აქტივობები სწორედ საარჩევნო პროცესებში გამჭვირვალობის გაზრდის, საკანონმდებლო მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და გამოვლენილი ტენდენციების შესახებ, საზოგადოებისთვის სანდო, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებისკენ იყო მიმართული.

გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მონიტორინგის ძირითად არეალად ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონები განისაზღვრა. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იყო ეთნიკურ უმცირესობათა შორის პოლიტიკური და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაზრდა. წინა წლების ტენდენციებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ყველაზე რთული გამოწვევები და მნიშვნელოვანი დარღვევები სწორედ ამ რეგიონებში გამოვლინდა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქვეყანაში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების და არსებული პოლიტიკური კონტექსტის გამო. ამასთან, პროექტების ფარგლებში შესაძლებელი გახდა, საარჩევნო კანონმდებლობაში 2021 წელს შესული ცვლილებების გაანალიზება და დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება.

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 15 ივლისის განცხადება: <http://www.hrc.ge/246/geo/>

საქართველოს პრეზიდენტმა, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, 2021 წლის 2 აგვისტოს გამოსცა განკარგულება - 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ². ამის გათვალისწინებით, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, 2021 წლის 3 აგვისტოდან წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო³. ამდენად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგი, სწორედ 3 აგვისტოდან არჩევნების მე-2 ტურის გამართვამდე - 30 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს. პროექტის ფარგლებშივე განხორციელდა არჩევნების დღეს, როგორც 1-ლი, ისე მე-2 ტურის დაკვირვება, მედიაში გავრცელებული მნიშვნელოვანი მოვლენების დოკუმენტირება და შეფასება. ასევე, ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი სამართალწარმოების უზრუნველყოფა.

არჩევნების მონიტორინგის პროცესს, წელსაც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ქვეყანაში ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის პანდემიით შექმნილი მძიმე ეპიდემიური სიტუაცია, რაც, წინა წლის მსგავსად, საარჩევნო ფონს კიდევ უფრო ამძიმებდა.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღემ, ძირითადად, მშვიდ გარემოში ჩაიარა. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევათა უმრავლესობა კვლავ ტექნიკური ხასიათის იყო, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საარჩევნო ადმინისტრაციის დაბალი პროფესიონალიზმი, საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნა და სახელწიფო ენაზე საუბრის ბარიერი ეთნიკურ უმცირესობებში. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ადმინისტრაციული რესურსების უკანონო და მასშტაბური გამოყენების პრაქტიკა, ხელისუფლებასა და პარტიას შორის აუცილებელი საზღვრების არსებობის პრინციპის უგულვებელყოფა, საარჩევნო აკრძალვის წესების დარღვევა და სხვა.

² იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N02/08/01 განკარგულება მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5231820?publication=0>

³ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45.1

ამასთან, 2021 წლის არჩევნები კვლავ მკვეთრად პოლარიზებულ, მიკერძოებულ და სიძულვილის ენით გაჭერებულ მედიაგარემოში წარიმართა. პოლიტიკური პოლარიზაციის გამო, წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საინტერესო საკითხები ძირითადად უგულვებელყოფილი იყო. კვლავ განსაკუთრებით დაძაბული იყო წინასაარჩევნო გარემო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, სადაც კენჭისყრის დღესაც, ტრადიციულად, ყველაზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზებაც.

მეთოდოლოგია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, მონიტორინგი მოიცავს როგორც წინასაარჩევნო პერიოდს⁴, ისე უშუალოდ არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცესის დაკვირვებას⁵.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების და მთელი წლის განმავლობაში არსებული პოლიტიკური კრიზისის, ასევე - COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სანდო და მიუკერძოებელი ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების საქმიანობა 2021 წლის არჩევნებზეც განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო.

პროექტების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი საქართველოს სამ რეგიონში: იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში განახორციელეს. დაკვირვებისას ყურადღება გამახვილდა ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ამომრჩევლებზე ზეწოლის, იძულებისა და მოსყიდვის, საარჩევნო სუბიექტების

⁴ იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021. <http://hrc.ge/files/168cinasaarchevno%20periodis%20mopniringi.pdf>

⁵ იხ. არჩევნები 2021 - ადამიანის უფლებათა ცენტრის პირველადი შეფასებები, დარღვევები და ტენდენციები. <http://www.hrc.ge/287/geo/>

დაშინების, მუქარისა და ძალადობის შემთხვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების გამოვლენაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის წინასაარჩევნო მონიტორინგი მოიცავდა პერიოდს 15 ივლისიდან 30 სექტემბრამდე.

გარდა ამისა, კენჭისყრის დღეს, 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო მისია ასევე მოიცავდა საქართველოს სამ რეგიონს - კახეთს, ქვემო ქართლსა და იმერეთს. არჩევნების დღეს კენჭისყრის პროცესზე დაკვირვება ორგანიზაციამ განახორციელა როგორც სტატიკური დამკვირვებლების, ისე მობილური ჯგუფების მეშვეობით. მთელი დღის განმავლობაში, ორგანიზაციის 51 წარმომადგენელი დააკვირდა არჩევნების სხვადასხვა ეტაპს და პროცედურას: საარჩევნო უბნის გახსნას, კენჭისყრას, ხმის დათვლას, შემაჯამებელი ოქმების შევსებას და ა.შ.

არჩევნების მეორე ტურზე ადამიანის უფლებათა ცენტრის 8 დამკვირვებელი, ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვით, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში დააკვირდა კენჭისყრის პროცესს.

არჩევნების პირველსა და მეორე ტურში, კენჭისყრის მიმდინარეობის პარალელურად, ცენტრი მთელი დღის განმავლობაში ავრცელებდა პროცედურებთან და დარღვევებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და თანამშრომლობდა ყველა დაინტერესებულ მედიასაშუალებასთან. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა პირველი ტურის კენჭისყრის მიმდინარეობისას სამი, ხოლო მეორე ტურის მიმდინარეობისას - 2 ბრიფინგი გამართა მედიაცენტრში, რომელიც ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით გაიხსნა.

არჩევნების მონიტორინგის კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სპეციალურად იქნა შერჩეული ისეთი რეგიონები, რომლებიც ორგანიზაციის წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ტრადიციულად ყველაზე პრობლემურ ადგილებს წარმოადგენს. ძირითადი აქცენტი, გასული წლის მსგავსად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე შეჩერდა, რამდენადაც ამ რეგიონებში მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ ძირითად პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც აქ მცხოვრებ ამომრჩეველს უფრო მოწყვლადს ხდის სხვადასხვა სახის დარღვევისადმი.

ანგარიში ძირითადად ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანი და არჩევნების დღის დამკვირვებელთა ანგარიშებს. გარდა ამისა, ანგარიშში ასახულია პროექტის ანალიტიკოსის მიერ, არჩევნებთან დაკავშირებით, მედიაში გავრცელებული სხვადასხვა დარღვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის ანალიზი. ანგარიში, ასევე, ეყრდნობა საარჩევნო სამართლის სფეროში არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას/სტანდარტებს, რომელთა მისადაგებთაც შეფასდა დამკვირვებელთა მიერ იდენტიფიცირებული დარღვევები, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს და მის შემდგომ - მეორე ტურის ჩათვლით.

ანგარიშში მიმოხილულია და კრიტიკულადაა შეფასებული საარჩევნო სისტემასა და კანონმდებლობაში შესული სხვადასხვა რელევანტური ცვლილება, რაც შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირებს, უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ წინასაარჩევნო პერიოდსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კონტექსტში.

პოლიტიკური კონტექსტი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, პოლიტიკური პოლარიზაციის და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული მწვავე პოლიტიკური კრიზისის შემდგომ, კვლავ მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის პირობებში ჩატარდა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველმა პარტიამ - „ქართული ოცნება“, ამომრჩეველთა ხმების 48.22% მოიპოვა და 90 მანდატით საპარლამენტო უმრავლესობის დამოუკიდებლად ფორმირება შეძლო. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით ჩატარებული უკანასკნელი არჩევნები იყო, რომელიც შემცირებული - ერთპროცენტოანი ზღვარით ჩატარდა⁶. ამ არჩევნებში გამოვლენილი პრობლემების და იმ დროს მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის გამოწვევების გათვალისწინებით, პირველ ტურში ზღვარგადალახულმა პარტიებმა,

⁶ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული აღნიშნული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში ბოლოს 2017 და 2020 წლებში შევიდა.

არჩევნების შედეგები გაყალბებულად ცნეს, არჩევნების მე-2 ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმში გადავიდნენ⁷. პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო დამძიმდა, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი - ნიკანორ მელია 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული ბრალდების გამო დააკავეს⁸.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი, გახანგრძლივებული მოლაპარაკებების შემდგომ, მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის გაფორმებული 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების მიღწევით დასრულდა⁹. შეთანხმების შედეგად, ბოიკოტში მყოფი პარტიები საპარლამენტო საქმიანობას დაუბრუნდნენ. თუმცა, რამდენიმე პარტიამ შეთანხმების ხელმოწერაზე თავდაპირველად უარი განაცხადა¹⁰. ამასთან, შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა, რომ 2022 წელს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება, თუკი შეთანხმების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მმართველი პარტია ვერ მოიპოვებდა პროპორციული ხმების 43 %-ს¹¹.

2021 წლის 30 ივნისს თანამდებობიდან გადადგა ცესკოს თავმჯდომარე - თამარ ჟვანია¹². 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ ღია კონკურსის გზით შერჩეულ თავმჯდომარეობის კანდიდატებს¹³ კენჭი უყარა და თავმჯდომარე 6 თვის ვადით აირჩია¹⁴.

⁷ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/383564>

⁸ იხ. ინფორმაცია ნიკანორ მელიას დაკავების შესახებ. <https://civil.ge/ka/archives/400101>
შენიშვნა: მელია 2021 წლის 10 მაისს ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლდა.

⁹ იხ. აშშ-ის საელჩოს განცხადება 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე: <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-the-signing-of-the-april-19-political-agreement-ka/>

¹⁰ იხ. ვრცლად: <https://formulanews.ge/News/51174>

¹¹ იხ. 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება „სამომავლო გზა საქართველოსთვის“: https://eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf

¹² იხ. რადიო „თავისუფლების“ სტატია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31333230.html>

¹³ საქართველოს პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს ორი პროფესიული წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ღია კონკურსი 1 ივლისს გამოაცხადა: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31336527.html>

¹⁴ იხ. რადიო თავისუფლების სტატია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31389426.html>

მოგვიანებით, 2021 წლის 28 ივლისს, „ქართულმა ოცნებამ“ შეთანხმების ანულირება ერთპიროვნულად მოახდინა¹⁵, რაც კრიტიკულად შეფასდა როგორც ქვეყნის შიგნით¹⁶, ისე საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან¹⁷.

2021 წლის 26 ივლისს მუშაობა დაასრულა საქართველოს პარლამენტში შექმნილმა საგამოძიებო კომისიამ, რომლის მიზანი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევების შესწავლა და საბოლოო შედეგებზე მათი გავლენის დადგენა იყო¹⁸. დასკვნის თანახმად, პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია¹⁹. კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას²⁰.

წინასაარჩევნო გარემო მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის ღრმა პოლარიზაციით ხასიათდებოდა. ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილის მიერ ადგილობრივი არჩევნების ეროვნულ რეფერენდუმად და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საგზაო რუკად მიჩნევამ²¹ საარჩევნო პროცესი კიდევ უფრო გაამძაფრა და პოლარიზაციის ხარისხი განსაკუთრებით გაზარდა.

წინასაარჩევნო გარემოზე გავლენა იქონია 2021 წლის 5 ივლისს თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა რადიკალური და ძალადობრივი ჯგუფების მიერ LGBTQ+ თემის წარმომადგენლებზე, უფლებადამცველებზე და ჟურნალისტებზე მასობრივ თავდასხმებს, ძალადობას და ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს²². ამ ძალადობაში რადიკალურ ჯგუფებთან ერთად სასულიერო პირებიც იყვნენ ჩართულები. ხელისუფლების პასუხი ძალადობრივ ქმედებებზე არაადეკვატური და, მეტიც, გარკვეულ

¹⁵ ვრცლად: <https://bit.ly/3buLJqt>

¹⁶ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების 2021 წლის 28 ივლისის განცხადება: <http://www.hrc.ge/262/geo/>

¹⁷ ვრცლად: <https://bit.ly/2ZoYXCj>; <https://bit.ly/3EbZeaK>; <https://bit.ly/3jGhRM7>.

¹⁸ ვრცლად: <https://bit.ly/3jCMjGL>

¹⁹ იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5224324?publication=0>

²⁰ ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/517560/>

²¹ ვრცლად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31486308.html>

²² იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წლის 5-6 ივლისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიში - პირველადი სამართლებრივი შეფასება, 2021: <http://www.hrc.ge/277/geo/>

შემთხვევებში ცალკეული მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები ძალადობის წამახალისებელი იყო²³. 11 ივლისს საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს ტვ „პირველის“ ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც 5 ივლისის მოვლენების დროს, საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლი იყო²⁴. ჟურნალისტის გარდაცვალებით გამოწვეული მღელვარება, ქუჩის საპროტესტო აქციებში გადაიზარდა, რამაც ასევე გარკვეული გავლენა იქონია წინასაარჩევნო გარემოზე.

საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში მუნიციპალურ ორგანოთა არჩევნების ჩატარების წესს არეგულირებს ქვეყნის კონსტიტუცია, ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ორგანული კანონი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებები და განკარგულებები. ამასთან, საქართველო შეერთებულია დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ დადებულ ყველა ძირითად საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებას²⁵.

წლების განმავლობაში, საარჩევნო კანონმდებლობის მიმართ არსებული კრიტიკის გამო და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დადებულ 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებამ დაყრდნობით, 2021 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა 86 ხმით 3-ის წინააღმდეგ, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის საარჩევნო რეფორმა იმთავითვე ითვალისწინებდა საარჩევნო სისტემის ცვლილებას, წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის წესს, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას, კენჭისყრის პროცესს, მისი შეჯამებისა და საარჩევნო დავების მიმართულებით, მიღებული ცვლილებები ვერ

²³ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე: <http://www.hrc.ge/265/geo/>

²⁴ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების 2021 წლის 11 ივლისის განცხადება, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით: <http://www.hrc.ge/244/geo/>

²⁵ მათ შორის, 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას; 1965 წლის კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; 1966 წლის საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; 1979 წლის „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“; 2003 წლის კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ და 2006 წლის კონვენციას შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ.

ჩაითვლება საარჩევნო სისტემის სრულყოფისთვის გადადგმულ ადეკვატურ ნაბიჯად. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის შემდგომ, კვლავ შეუსრულებელი რჩება ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 18 ივნისის ერთობლივ დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი²⁶. მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები, დამატებით შეშფოთებას იწვევს²⁷.

- **საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების ახალი წესი**

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საარჩევნო ადმინისტრაციაში, განსაკუთრებით კი - მის ქვედა რგოლში, მმართველი პარტიის წარმომადგენლობა არაპროპორციულად დიდი იყო²⁸. ადმინისტრაციის მოწყობა და საამისოდ არსებული ინსტიტუციური ჩარჩო ოპოზიციის როლს თითქმის გამორიცხავდა, რაც, თავის მხრივ, ოპოზიციური პარტიების საარჩევნო პროცესისადმი უნდობლობას განაპირობებდა²⁹.

საარჩევნო რეფორმით გათვალისწინებულმა ცვლილებებმა, თითქმის სრულად შეცვალა საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მოწყობა. შედეგად, საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე, კომისიის წევრთა რაოდენობა 17-მდე გაიზარდა, რაც 8 პროცესიული და 9 პარტიული ნიშნით შერეული წევრით დაკომპლექტებას გულისხმობს³⁰.

ეს ცვლილება, როგორც კომპრომისული ვარიანტი, მისაღებად მიიჩნია ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოლირმა, მაგრამ ერთობლივ შეფასებაში ხაზი გაესვა

²⁶ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოლირის 2021 წლის 18 ივნისის დასკვნა მომზადდა განახლებული საარჩევნო კანონპროექტის შესაფასებლად და იგი განხილული უნდა იყოს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოლირის 2021 წლის 30 აპრილის დასკვნასთან ერთობლიობაში, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, *Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code*, para. 7, 8.

²⁷ იქვე, para. 15, 17.

²⁸ ლაცაბიძე მ, კიდურაძე კ, *საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო ვარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში* (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021), გვ. 5, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kfjVMg>, განახლებულია: 14.07.2021.

²⁹ იქვე.

³⁰ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი, მე-12 მუხლის მე-11 ნაწილი, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

წევრთა რაოდენობის შემცირების უპირატესობას³¹, რაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმაც გაიზიარეს³².

ადამიანის უფლებათა ცენტრიც იზიარებს ამ შეფასებას, მით უფრო - ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისას გამოვლენილი პრაქტიკული ხარვეზების გათვალისწინებით. ამასთან, ცვლილება ვერ უზრუნველყოფს მისი განხორციელების ძირითადი მიზნის მიღწევას, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოდ ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ცვლილებები კვლავ პრობლემად ტოვებს პროფესიული წევრების შერჩევის წესში არსებულ ხარვეზებს. კერძოდ, რეფორმის შემდგომ, ცესკოს წევრების პროფესიული ნიშნით შერჩევა, პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტის მიერ ხორციელდება. იმის მიუხედავად, რომ ცვლილებებმა ცესკოს წევრობის კანდიდატთა შერჩევისთვის საკონკურსო კომისიის შექმნის წესი შემოიღო, თავად კომისიის ფორმირების საკითხი კვლავ პრობლემურია³³. ამდენად, ეს ცვლილებები სრულად ვერ გამოორიცხავს კომისიის წევრთა და შემდგომში ცესკოს პროფესიული ნიშნით დანიშნულ წევრთა პოლიტიკური მიკერძოების რისკებს.

ამ რისკების აღმოფხვრის აუცილებლობასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით რეფორმის გაგრძელება და საარჩევნო ადმინისტრაციის სრულად პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების უზრუნველყოფა, შესაბამის პოლიტიკურ სუბიექტთა მიერ კონსენსუალური დაკომპლექტების გზით.

ამასთან, ცესკოს 7 პროფესიული წევრის არჩევა პრეზიდენტის წარდგინებითა და საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერით განისაზღვრება³⁴. მაღალი ქვორუმის შემოღებას უნდა უზრუნველყოფს კანდიდატთა შერჩევა პარტიებს შორის კონსენსუსის გზით, რაც თავის მხრივ, საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაზრდას გამოიწვევდა. ეს ცვლილება 19

³¹ Venice Commission, OSCE/ODIHR, Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code, para 30

³² GYLA, რას (არ) უნდა ველოდოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან? 2021-07-22
<https://gyla.ge/ge/post/ras-ar-unda-velodot-2-oqtombris-archevnebisgan#sthash.vB2U25aF.dpbs>

³³ იხ. ინფორმაცია: <http://bit.ly/3qSGKpy>

³⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

აპრილის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული³⁵. საბოლოო ვერსიაში კი, ცვლილებასთან ერთად გაჩნდა ე.წ. „ანტიკრიზისული მექანიზმი“. კერძოდ, თუ პირველ კენჭისყრაზე პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-მა არ დაუჭირა მხარი წარმოდგენილ კანდიდატთა არჩევას, მათ კანდიდატურას კენჭი ეყრება მეორე, მესამე და მეოთხე ჯერზე. მეორე კენჭისყრისთვის კვლავ ხმათა 2/3-ია გათვალისწინებული, შემდეგ ჯერზე კი ქვორუმი კლებულობს, შესაბამისად მესამეზე - 2/5, ხოლო მეოთხეზე ხმათა უბრალო უმრავლესობა ხდება საკმარისი³⁶. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, მიუხედავად ამ ცვლილების პოზიტიურობისა, გარდამავალ ეტაპზე კენჭისყრის პროცესის ოთხიდან ერთ კვირამდე შემცირებით, შესაძლოა, ბიანი მიადგეს კანდიდატის დანიშვნისას უმრავლესობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსს. შესაბამისად, ეს დებულებები უნდა გადაიხედოს³⁷. მათივე შეფასებით, აღნიშნული ჩანაწერით, რისკის ქვეშ დგება რეფორმის წარმატება საარჩევნო ადმინისტრაციაში დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით³⁸.

ცვლილებების შედეგად, ე.წ. ანტიკრიზისული მექანიზმი საოლქო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შერჩევის პროცესშიც გაჩნდა. მსგავსი მექანიზმი ე.წ. შარლ მიშელის დოკუმენტში საერთოდ არ გვხვდებოდა. საბოლოო ვერსიის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საოლქო კომისიის წევრის შერჩევა ვერ მოხდება ცესკოს ხმების 2/3-ით, დადგენილი წესის შესაბამისად, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარს დაუჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა³⁹. აქედან გამომდინარე, ცვლილებების საბოლოო ვერსია ვერც ქვეყნის ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმების მიზნებს პასუხობს და ვერც საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეფექტურ გარანტიებს ქმნის.

³⁵ „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3frBggU>, განახლებულია: 14.07.2021.

³⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 205-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁷ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 18 ივნისის დასკვნა მომზადდა განახლებული საარჩევნო კანონპროექტის შესაფასებლად და იგი განხილული უნდა იყოს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 30 აპრილის დასკვნასთან ერთობლიობაში, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, *Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code*, para. 21: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)011-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)011-e)

³⁸ იქვე.

³⁹ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25.11.

- **პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის წევრის დანიშვნასთან დაკავშირებული პირობები**

რეფორმის შედეგად, გაუქმდა პარტიებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციაში თავიანთი წარმომადგენლის დანიშვნისთვის არსებული წინაპირობა, რაც დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნაშიც⁴⁰. კერძოდ, ძველი რედაქციის თანახმად, პარტიის მიერ საარჩევნო კომისიაში საკუთარი წარმომადგენლის ყოლის წინაპირობა პარტიის მიერ სახელმწიფო დაფინანსებასთან იყო დაკავშირებული და, ამავდროულად, ხელოვნურად აფერხებდა ბოიკოტის შესაძლებლობას, რადგან დამატებით წინაპირობად პოლიტიკური სუბიექტის, სულ მცირე, ერთი წარმომადგენლის პარლამენტში ყოფნას აწესებდა.

ამის მიუხედავად, ვენეციის კომისიისთვის გაუგებარია იმ გარდამავალი დებულების არსებობის საჭიროება, რომლის მიხედვითაც, თუ კვალიფიციური პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელსაც უფრო მეტი საბიუჯეტო დაფინანსება ეკუთვნის, მაშინ, როცა ზოგადი წესის თანახმად, ცესკოს არაუმეტეს 9 წევრს პარტიების საფუძველზე ნიშნავენ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიები. კომისიის შეფასებით, გაუგებარია, რას ემსახურება გარდამავალი დებულება, მაშინ როცა რეგულაცია, რომელიც ადმინისტრაციის წევრის დანიშვნას, საბიუჯეტო დაფინანსებასა და მანდატის ათვისებას უკავშირებდა, გაუქმდა⁴¹. ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციას, ასევე ოპოზიციური პარტიების მოსაზრებას, რომ შესაბამისი ცვლილებები მიზანმიმართულად შეიძლება იყოს მიღებული ცალკეული ოპოზიციური პარტიებისთვის პროცესში მონაწილეობის ხელშეშლის მიზნით.

- **ცვლილება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით**

⁴⁰ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 18 ივნისის დასკვნა მომზადდა განახლებული საარჩევნო კანონპროექტის შესაფასებლად და იგი განხილული უნდა იყოს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის 2021 წლის 30 აპრილის დასკვნასთან ერთობლიობაში, იხ. Venice Commission, OSCE/ODIHR, *Urgent Joint Opinion on Revised Draft Amendments to the Election Code*, Para 14: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2021\)011-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2021)011-e)

⁴¹ იქვე. Para 34

რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავე იმ პირთა წრე, ვისაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე სამუშაო საათების განმავლობაში ეკრძალება როგორც წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა, ასევე აგიტაციაში მონაწილეობა. გარდა ამისა, დაწესდა გარკვეული შეზღუდვები საჯარო მოსამსახურეების, აგრეთვე - სკოლამდელ დაწესებულებებში და საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე პირების სამსახურეობრივი ნიშნით შეკრებასთან დაკავშირებით. ეს ცვლილება მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ადამიანის უფლებათა ცენტრი, წლების განმავლობაში, მუდმივად აპელირებდა მსგავსი აკრძალვის აუცილებლობაზე. თუმცა, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების პარტიასთან ან მის რომელიმე პოლიტიკურ ლიდერთან პერსონიფიცირების და გაიგივების აკრძალვა. მოქმედი რეგულაციით, ეს საკითხი ბუნდოვანია და აუცილებელია დაკონკრეტება, რათა მსგავსი ქმედება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩაითვალოს.

- **საარჩევნო დაგების განხილვის ახალი ვადები**

ცვლილებების ფარგლებში, ნაწილობრივ გაიზარდა საარჩევნო დაგების განხილვის და გასაჩივრების ვადები, რაც 1 დღის ნაცვლად 2 კალენდარული დღით განისაზღვრა. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადაწყვეტილების განხილვის შემთხვევაში კი, ვადა 2-დან 4 დღემდე გაიზარდა. ამასთან, შესაძლებელი გახდა სარჩელის ელექტრონულად წარდგენაც, რაც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. ცვლილებების შესაბამისად, შეიქმნა ელექტრონული რეესტრი, სადაც საჩივრების წარდგენაზე უფლებამოსილი პირები რეგისტრირდებიან; ამასთან, საჩივრების განუხილველად დატოვების გადაწყვეტილების მიღებისთვის ახალი წესი განისაზღვრა და იგი კოლეგიურად, საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს.

- **საარჩევნო უბნის პერიმეტრის ცვლილება და ამომრჩევლის ნების კონტროლის პრევენცია**

ცვლილებების თანახმად, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან ამომრჩევლის გადაადგილებისა და ფიზიკური შეფერხების აკრძალვის მანძილი 25 მეტრიდან 100 მეტრამდე გაიზარდა. ეს აკრძალვა ეხება ადამიანთა შეკრებასა და ამომრჩეველთა აღრიცხვასაც. ცვლილებების გათვალისწინებით, ამ

რეგულაციის აღსრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა. დამრღვევთა იდენტიფიცირების შემთხვევაში, შშს-ს დამრღვევი პირის დაჯარიმების უფლება მიეცა.

ეს რეგულაცია დადებითად უნდა შეფასდეს, ამომრჩეველთა უკანონო აღრიცხვის პრევენციის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგისას, ბევრ საარჩევნო უბანზე ვერ ხდებოდა 100-მეტრიანი დისტანციის დაცვა, ამ უბნების ურბანული მდებარეობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

- **ცვლილება არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გადამოწმების პროცედურაში**

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ცვლილებების მეშვეობით, არჩევნების შედეგების მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, თითოეულ საარჩევნო ოლქში სავალდებულო წესით გადაითვლება ხუთი საარჩევნო უბანი. ამასთანავე, კანონმა აკრძალა საარჩევნო უბანზე საარჩევნო უბნის ბეჭდის დალუქვის შემდეგ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა. საოლქო საარჩევნო კომისიის გადანწყვეტილებით, შესაძლებელი გახდა შესწორების ოქმის გარეშე შედგენილი გადასწორებული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმების შედგენა, საარჩევნო შედეგების გადამოწმების საფუძველზე.

- **ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი**

ცვლილებების შედეგად ახალი ინსტრუმენტი გაჩნდა. კერძოდ, პოლიტიკური პარტიების ინიციატივით, ცესკოსთან იქმნება საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის მიზანი საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ცესკოსთვის რეკომენდაციების წარდგენაა. საკონსულტაციო ჯგუფი ადგილობრივი სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დასახელებული ექსპერტებისგან ყალიბდება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება ამ ინსტრუმენტის შექმნას, მაგრამ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, საკონსულტაციო ჯგუფის ფორმირება ობიექტურად მოხდეს და მისი საქმიანობა მიუკერძოებლად წარიმართოს.

- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული საკონკურსო კომისია**

რეფორმის ფარგლებში, შეიცვალა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ცესკოს წევრობის კანდიდატების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და დაზუსტდა კომისიის წევრთა რაოდენობა. ახალი წესით, კომისია მაქსიმუმ 10 წევრისგან კომპლექტდება და მასში უნდა იყვნენ აკადემიური პერსონალისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც არჩევნების მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა სფეროში 7-წლიანი საქმიანობის გამოცდილება აქვთ.

- **სახელმწიფო დაფინანსებას მიბმული ცესკოს წევრობა**

არსებული ზოგადი წესის თანახმად, პარტიისთვის ცესკოში წევრის ყოლის უფლებამოსილება დაკავშირებულია ამ პარტიის მიერ არჩევნებში მიღებულ მხარდაჭერაზე. ამის მიუხედავად, 2021 წლის არჩევნებისთვის გარდამავალი დებულებით განისაზღვრა, რომ ცესკოში პარტიის მიერ წევრის ყოლის უფლება დამოკიდებული იქნებოდა კონკრეტულად პარტიის მიერ მიღებულ სახელმწიფო დაფინანსებაზე. არსებული რეალობის გათვალისწინებით, ამ ცვლილებით გამოირიცხა ლეიბორისტული პარტიის მიერ ცესკოში საკუთარი წევრის ყოლა, მიუხედავად ზოგადი წესისა. ეს ცვლილება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ იგი კონკრეტული პარტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ნორმატიული აქტი შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, მრავალჯერადი გამოყენების აქტია, რომელიც პირთა ფართო წრეს მიემართება. მსგავსი გარდამავალი დებულებების გამოყენებით, კანონშემოქმედებით მანიპულაცია ერთმნიშვნელოვნად შემამფოთებელია და სახიფათო პრეცედენტს ქმნის.

- **კონკრეტულ პარტიას მორგებული კიდევ ერთი ცვლილება**

ცვლილებებმა კიდევ ერთი სიახლე შემოგვთავაზა, რომელიც ამჯერად სხვა პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ იყო მიმართული. კერძოდ, პარტიას ეკარგება საარჩევნო კომისიაში წევრის დანიშვნის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის 19 აპრილის მდგომარეობით, მის მიერ გაყვანილმა ყველა პარლამენტარმა დატოვა პარტია და სხვა პარტიაში განწევრიანდა. მსგავსი შემთხვევის არსებობისას, კომისიის წევრის დანიშვნის უფლება ახალ პარტიაზე

გადადის. ეს ცვლილება, ფაქტობრივად, „ევროპული სოციალისტების“ სასარგებლოდ არის მიღებული, რომლის წევრებმა 2020 წლის არჩევნების შემდგომ პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვეს და დამოუკიდებელი პარტია შექმნეს.

- **სავალდებულო გენდერული კვოტირების ახალი წესი**

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შეიცვალა სავალდებულო გენდერული კვოტირების არსებული წესი. ახალი წესის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიულ სიებში ყოველი მეორის ნაცვლად, ყოველი მესამე კანდიდატი უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. სამწუხაროდ, ეს ცვლილება აუარესებს აქამდე არსებულ მდგომარეობას და ეწინააღმდეგება მის თავდაპირველ მიზანს - ხელი შეუწყოს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას.

- **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შეცვლილი უფლებამოსილებები**

ცვლილებების მიხედვით, კომისიის წევრთა ფუნქციები გარკვეულწილად შეიცვალა. კერძოდ, ახალი რეგულაციით, პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები ვერ გახდებიან ამომრჩევლების რეგისტრატორები კენჭისყრის დღეს. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიაში თანამდებობებზე, როგორცაა - თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი, არჩეული უნდა იყვნენ მხოლოდ უპარტიო წევრები. ეს ცვლილებები კომისიის წევრებს არათანაბარ პირობებში აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიის წევრთა თანაბარ უფლებამოსილებას აღგენს.

- **კენჭისყრებს შორის ვადების შემცირება**

19 აპრილის შეთანხმების თანახმად, არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარის ან/და პროფესიული წევრების არჩევის შესაძლო დაბლოკვის საწინააღმდეგო პროცედურაში 4-კვირიანი ვადა იყო გათვალისწინებული. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად კი, აღნიშნული ვადა 1 კვირამდე შემცირდა. ვადის შემცირებამ, თავის მხრივ, შეამცირა პოლიტიკურ პარტიათა შორის კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობა, რაც პოლიტიკურ პროცესს კიდევ უფრო აზიანებს.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესი ძირითადად ინკლუზიურად წარიმართა. ამის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შემთხვევები, როცა ოპოზიციური პარტიების კანდიდატებმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნეს რეგისტრაციიდან⁴², მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდო ზეწოლის გამო.

2 ოქტომბრის არჩევნებზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამომრჩევლებს არჩევანის გაკეთება შეეძლოთ მერობის 239 კანდიდატს⁴³, მაჟორიტარობის⁴⁴ - 2,771 და 18,895 პროპორციული წესით ასარჩევ კანდიდატს შორის⁴⁵, რომლებიც 43 პარტიისა და 68 საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო წარდგენილი.

ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებების გათვალისწინებით, შევიწროვდა საკანონმდებლო პირობები და კანდიდატებისა და ამომრჩეველთა სიებისთვის რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობა შეიზღუდა კანდიდატთა მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობის დაუცველობის ან დოკუმენტაციის არასრულად ჩაბარების გამო.

ამომრჩეველთა ერთიანი სიები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 თავი ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. კოდექსის მიხედვით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები⁴⁶ საარჩევნო ადმინისტრაციას წელიწადში ოთხჯერ⁴⁷ საარჩევნო უფლების და ამავე უფლების

⁴² 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის მაჟორიტარი კანდიდატები, ვისაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე:

https://cesko.ge/res/docs/20210920232758_%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98.pdf

მერობის მოხსნილ კანდიდატთა ოფიციალური სია:

<https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

⁴³ იხ. 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის თვითმმართველ თემებში რეგისტრირებული მერობის კანდიდატები:

<https://cesko.ge/res/docs/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>

⁴⁴ იხ. 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები (20 სექტემბრის მდგომარეობით) <https://cesko.ge/geo/list/show/125578-2-oqtombri-archevnebisatvis-tvitmartveli-qalaqebis-merobis-kandaditebi>

⁴⁵ იხ. 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული პარტიული სიები:

<https://cesko.ge/geo/list/show/125583-2-oqtombri-archevnebisatvis-registrirebuli-partiuli-siebi>

⁴⁶ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 31, მე-5 პუნქტის "ა"- "გ" ქვეპუნქტები.

⁴⁷ 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს.

არმქონე პირების შესახებ მონაცემებს გადასცემენ. 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ინსტიტუციების მიერ გადმოცემული მონაცემების დამუშავება და ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ, საარჩევნო ოლქების მიხედვით, 3.497.345 ადამიანი შეადგინა⁴⁸.

2020 წლის მსგავსად, ცესკომ ამომრჩევლებს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმების რამდენიმე შესაძლებლობა შესთავაზა. ამომრჩეველს შეეძლო, ეს ინფორმაცია გადაემოწმებინა ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - voters.cec.gov.ge. ამომრჩეველთა სიები ასევე იყო წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიებში, კანონის შესაბამისად, რათა ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემები ამ გზითაც გადაემოწმებინათ.

ძალადობის, დაშინებისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები წინასაარჩევნო პერიოდში

2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში შემაშფოთებელ ტენდენციას წარმოადგენდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპოზიციურ კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლისა და მათი დაშინების ფაქტები. საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში, სავარაუდოდ, 59 ოპოზიციური კანდიდატის მიმართ განხორციელდა ზეწოლა, მათი მხრიდან კანდიდატურების მოხსნის მიზნით, მათ შორის - ფიზიკური ანგარიშსწორების, ოჯახის წევრებისა და ახლობლების უსაფრთხოების ხელყოფისა და მათი სამსახურიდან გაშვების მუქარის გზით. ამ ფაქტების შესახებ კანდიდატები ერიდებიან საჯაროდ საუბარს, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს მათ მიმართ განხორციელებული მუქარების აღსრულების რეალურ

⁴⁸ იხ. ინფორმაცია ამომრჩეველთა ერთიანი სიის შესახებ: <https://cesko.ge/geo/list/show/125876-2-oqtombris-archevnebisvis-amomrchevelta-saerto-raodenoba-3-497-345-sheadgens>

საფრთხეზე⁴⁹. მასშტაბური სახე ჰქონდა ასევე საგარეულო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებისა და შევინროების შემთხვევებს, ყოფილი პრემიერ მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ დაარსებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან აფილირების გამო⁵⁰. სამსახურებრივი ბენოლა, ძირითადად, საჯარო უწყებებში დასაქმებული პირების წინააღმდეგ ხორციელდებოდა, რაც გასული წლების ტენდენციების მსგავსად, კვლავ წარმოაჩენს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ბღვრის წაშლის პრობლემას და სახელმწიფო ინსტიტუტების მმართველ პარტიასთან გაიგივებას.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იმატა ძალადობრივმა ინციდენტებმაც. 20 სექტემბერს ქალაქ რუსთავში თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერს⁵¹, ხოლო 21 სექტემბერს ქვემო ქართლში, დმანისის მუნიციპალიტეტში, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორი მხარდამჭერი ცივი იარაღით დაჭრეს⁵². 25 სექტემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტში უცნობმა ადამიანებმა „გახარია-საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატის მანქანა ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს⁵³.

10 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა პარტია „ქართული ოცნებისგან“ მიიღო შეტყობინება წინასაარჩევნო პერიოდში მათდამი განხორციელებული სხვადასხვა დარღვევის შესახებ. მოწოდებული ინფორმაცია, ძირითადად, საარჩევნო პლაკატებსა და პარტიის სხვადასხვა ოფისზე გაკეთებულ უკანონო წარწერებს უკავშირდებოდა. ასევე, მმართველი პარტიის ინფორმაცია შეეხებოდა 25 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების მიერ „ქართული ოცნების“ ლიდერებისა და საარჩევნო კამპანიის თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს⁵⁴.

მოქმედი მერები მერობის კანდიდატებად

⁴⁹ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3b61a81>

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იხ. რადიო თავისუფლების სტატია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31470862.html>

⁵² „დმანისში დაპირისპირებისას ორი პირი ცივი იარაღით დაჭრეს“: <https://1tv.ge/news/dmanisshi-dapirispirebisas-ori-piri-civi-iaraghit-dachres/>

⁵³ იხ. ინფორმაცია: <https://netgazeti.ge/news/565055/>

⁵⁴ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3B2kSw8>

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოქმედი მერები იმავდროულად წარმოადგენდნენ მერობის კანდიდატებს⁵⁵. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ეს არ არის აკრძალული, პრობლემას წარმოადგენდა ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების შემთხვევები, რაც ხელისუფლებასა და პარტიას შორის ზღვარს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდიდა. ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომელიც საქართველოსთვისაც სავალდებულოა, მოითხოვს, რომ „სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები ერთმანეთისგან ცხადად გაიმიჯნოს“⁵⁶.

მუნიციპალიტეტების მერიების მიერ განხორციელებული სამუშაო წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად შექდებოდა მერიისთვის განკუთვნილი საინფორმაციო/საკომუნიკაციო საშუალებების, ოფიციალური ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით. მაგალითად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ხშირად თავსდებოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების, ურბანული განახლების, სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სოციალური დახმარების პროექტების შესახებ. ამ ტიპის სამუშაოსთან დაკავშირებული ყოველი ინფორმაციის განთავსებისას, მერიის მიერ ადმინისტრირებად ფეისბუქ გვერდზე ხდებოდა თერჯოლის მოქმედი მერის, ლაშა გოგიაშვილის მონიშვნა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა მერობის კანდიდატს⁵⁷. მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ ქალაქ ქუთაისშიც - ქალაქის მოქმედი მერი, იოსებ ხახალეიშვილი ასევე წარმოადგენდა მერობის კანდიდატს მომავალ არჩევნებში. ამ შემთხვევაშიც დაფიქსირდა სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის მერიის ოფიციალურ საიტზე განთავსების შემთხვევები. ქალაქ ქუთაისში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულების აქტივობები და ამის შესახებ ინფორმაციის განთავსება

⁵⁵ იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021 <http://hrc.ge/files/168cinasaarchevno%20periodis%20mopniringi.pdf>

⁵⁶ Organization for Security and Co-operation in Europe, Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE (Copenhagen: Organization for Security and Co-operation in Europe, 1990), para 5.4, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files//documents/9/c/14304.pdf> .

⁵⁷ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი: <https://www.facebook.com/terjolimeria>

მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ უფრო აქტიურად მიმდინარეობდა⁵⁸.

აღნიშნული აქტივობები მოქალაქეთა კეთილგანწყობის მოპოვებას ისახავდა მიზნად, რასაც ხშირ შემთხვევაში, ამომრჩევლები შეცდომაში შეჰყავდა, რადგან ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იგი მიმართული იყო კონკრეტული საარჩევნო სუბიექტისადმი ამომრჩევლებში კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და მისი გამარჯვების ხელშესაწყობად. შესაბამისად, ასეთი აქტივობები ატარებდა წინასაარჩევნო კამპანიის სახეს, რაც თავის მხრივ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ერთ-ერთი სახეა და ამ გზით, არათანაბარ პირობებში ხვდებიან მერობის სხვა კანდიდატები.

საარჩევნო კანონმდებლობა არ უკრძალავს მოქმედ მერებს, იმავდროულად წარმოდგენდნენ მერობის კანდიდატებს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კოდექსის თანახმად, მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია საპრეზიდენტო არჩევნებში ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში კანდიდატად წარდგენა. მერის არჩევნები კი არ მიეკუთვნება არჩევნების არც ერთ აღნიშნულ ტიპს. აღსანიშნავია, ასევე, კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის თანახმადაც, მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში მოხელის კანდიდატად წარდგენა. მერი კი წარმოდგენს პოლიტიკური თანამდებობის პირს. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება საჯარო მოხელეების მიმართ არსებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების მოთხოვნა არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის შემთხვევაში⁵⁹.

მიუხედავად ამისა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს ადმინისტრაციული რესურსის, მათ შორის -

⁵⁸ ქუთაისის მერი იოსებ ხახალაიშვილი ქალაქში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონახულებას აგრძელებს": http://www.kutaisi.gov.ge/open_news/760

⁵⁹ იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021 <http://hrc.ge/files/168cinasaarчевno%20periodis%20mopniringi.pdf>

სახელმწიფო დაწესებულებებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო მომსახურების გამოყენებას⁶⁰.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ქუთაისსა და თერჯოლაში მერობის კანდიდატთა გააქტიურება წინასაარჩევნო პერიოდში და ამავე მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით გაშუქების წინასაარჩევნო ინტენსივობა, არსებული რეგულაციების პირობებშიც კი უნდა იქნას მიჩნეული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად⁶¹. ამავდროულად, აღსანიშნია, რომ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოახდინოს მოქმედი მერების მიერ ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების შემთხვევების სრული პრევენცია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე დამატებით გაგრძელდეს მსჯელობა, ფართო საზოგადოების ჩართულობით.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების სხვა შემთხვევები

საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით კრძალავს ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელებას, რაც მანამდე არ იყო გათვალისწინებული შესაბამის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ პროგრამების/პროექტების დაფინანსება გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე⁶². ამ ნორმის მიზანია, სახელმწიფოსა და პარტიის გამიჯვნის ფუნდამენტური პრინციპის რეალიზების ხელშეწყობა, ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენების პრევენცია და ამომრჩევლის ნებაზე არამართლზომიერი ზეგავლენის თავიდან აცილება.

წარსულში ჩატარებული არჩევნების დროს, მუნიციპალიტეტები ხშირად უგულებელყოფდნენ აღნიშნულ ნორმას და სავარაუდოდ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, ხშირი იყო ამ პერიოდში ბიუჯეტის ზრდა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია ბიუჯეტში შეტანილი

⁶⁰ იხ. საქართველოს ორგანული კანონი "სარჩევნო კოდექსი", მუხლი 48

⁶¹ იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021, გვ. 3. <http://hrc.ge/files/168cinasaarчевno%20periodis%20mopniringi.pdf>

⁶² იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49.3

ცვლილებების შესახებ ყველა იმ მუნიციპალიტეტიდან, რომელსაც მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა. გამოვლენილი ტენდენციიდან ჩანს, რომ მუნიციპალიტეტები კანონის დარღვევას თავს არიდებენ და ბიუჯეტის ზრდას საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე ახორციელებენ.

ამდენად, მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მუნიციპალურ საკრებულოებს ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ივნის-ივლისში შეაქვთ, რაც ძირითადად მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე. თბილისის შემთხვევაში, მსგავსი ფაქტი არჩევნების მეორე ტურამდეც გამოვლინდა; თბილისის მოქმედმა მერმა და ამავდროულად მერობის კანდიდატმა, ვახი კალაძემ, თბილისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი პენსიონრებისთვის 500-ლარიანი ვაუჩერის გადაცემა არჩევნების მეორე ტურამდე 10 დღით ადრე დააანონსა⁶³. ასეთი პრაქტიკის გამოყენებისას, ძირითად შემთხვევაში ფორმალური კანონიერება დაცულია, მაგრამ კანონმდებლის მიზანი, რასაც საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლი ითვალისწინებს, ფაქტობრივად ვერ მიიღწევა. შესაბამისად, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში, სრულყოფილად არ არის დაცული ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო პერიოდში გამოყენების საკითხი, რომელიც ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

კანონის სულისკვეთებას, ფორმალური კანონიერების დაცვით, მუნიციპალურ ორგანოებთან ერთად, აქტიურად უვლის გვერდს ხელისუფლებაც. 2021 წლის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე ახალი სახელმწიფო პროგრამების ინიცირებაც აქტიურად მიმდინარეობდა. მათი ამოქმედება კი, აპრობირებული პრაქტიკის გათვალისწინებით, წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურ პერიოდს ემთხვევა.

წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე, 2021 წლის 26 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქვეყნის მასშტაბურ განახლებასა და 63 მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ განაცხადა. პროექტის პირველი ეტაპის ღირებულებად 500 მლნ ლარი განისაზღვრა და მის ფარგლებში, 15000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა

⁶³ იხ. ვახა კალაძის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი:

<https://www.facebook.com/kakhakaladzeofficial/photos/a.128025017300943/3746231088813633/>

დაანონსდა. ამ პროექტის აქტივობები წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა⁶⁴.

ამასთან, 2020 წლის არჩევნების მსგავსად, 2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პანდემიის პერიოდში რეგულაციების დარღვევის გამო ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ამნისტია კიდევ ერთხელ გამოცხადდა⁶⁵. აღსანიშნავია, რომ ორივე კანონი ძალაში 2021 წლის 10 სექტემბერს შევიდა⁶⁶. ამდენად, წინასაარჩევნოდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და ადმინისტრაციული სახდელისგან დაახლოებით 245 000 მოქალაქე და 344 იურიდიული პირი გათავისუფლდა ჯამში, იზოლაციის, კარანტინისა და პირბადის ტარების წესების დარღვევის გამო დაკისრებული დაახლოებით 76 მლნ ლარის ჯარიმისგან⁶⁷.

პრემიერ-მინისტრის კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც 2021 წლის 9 აგვისტოს გააჟღერდა, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდას უკავშირდება. კერძოდ, ინიციატივის თანახმად, 2022 წლის იანვრიდან საჯარო მოხელეების ხელფასები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, მერების ხელფასები კი გაორმაგდეს⁶⁸. პრემიერის ეს განცხადება კრიტიკულად შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ⁶⁹.

2021 წლის 30 აგვისტოს საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი ინიციატივა გააჟღერა, რომლის მიხედვითაც, 300-მდე დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად უნდა გადაეცეს, ხოლო არსებულ ფაქტობრივ მფლობელებს საკუთრების უფლებით დაუკანონდეთ, როგორც საცხოვრებელი, ასევე დამხმარე ფართები⁷⁰.

⁶⁴ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/415980>

⁶⁵ იხ. პრემიერ მინისტრის - ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება: <https://www.facebook.com/GeorgianGovernment/videos/981908049223853>

⁶⁶ იხ. ვრცლად: <https://parliament.ge/legislation/22384>

⁶⁷ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3jy63M2>

⁶⁸ იხ. პრემიერ-მინისტრის განცხადება: <https://bit.ly/2Zj2kLn>

⁶⁹ იხ. IDFI-ის განცხადება: <https://bit.ly/3pAmF9M>

⁷⁰ იხ. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი: <https://bit.ly/3Cg9pdC>

2021 წლის 25 ივნისს, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 1 სექტემბრიდან ოჯახებისთვის იპოთეკურ სესხებზე თანადაფინანსების პროგრამის ამოქმედება დაანონსდა. პროგრამა ახალშეძენილ პირველ და მეორე შვილზე იპოთეკური სესხის 5%-დან 8%-მდე, ხოლო მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე - 8%-ით სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებას ითვალისწინებს⁷¹.

2021 წლის 26 ივლისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამაზე განაცხადა, რომლის ღირებულება 50 მლნ ლარს შეადგენს. მინისტრის განცხადებით, პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება 1 სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო⁷².

ამ და სხვა ინიციატივების წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ფორსირებული ინიცირება, ხოლო მათი განხორციელების დაწყების წინასაარჩევნო პერიოდზე დამთხვევა, აჩენს საფუძვლიან ეჭვს საარჩევნოდ მოტივირებულ ხარჯვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ფორმალური კანონიერების დაცვისა, სამწუხაროდ, არსებული პრაქტიკა ადმინისტრაციული რესურსების არამართლზომიერ გამოყენებაზე მიუთითებს, სავარაუდოდ - არჩევნებზე ზეგავლენის მიზნით. ეს კი, ცხადია, მმართველ პარტიას პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის, რაც ამომრჩევლის მიერ თავისუფალი ნების გამოვლენას უშლის ხელს.

საჯარო მოხელეები საოლქო საარჩევნო კომისიებში

არჩევნების მონიტორინგის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოვლენილ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას საოლქო საარჩევნო კომისიათა დაკომპლექტების უკანონო პრაქტიკა წარმოადგენს.

ქვემო ქართლის რეგიონში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის N26 საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიულ წევრებად აირჩიეს თეთრიწყაროს მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურისა და თეთრიწყაროს მერიის სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახურის მოქმედი თანამშრომლები. მსგავსი პრობლემა

⁷¹ იხ. ვრცლად: http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=288&info_id=79720

⁷² იხ. მინისტრის 2021 წლის 26 ივლისის განცხადება: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20456>

დაფიქსირდა, ასევე, რუსთავის N20 საოლქო საარჩევნო კომისიაშიც, სადაც კომისიის პროფესიულ წევრებად აირჩიეს ქალაქ რუსთავის მერიის მოქმედი თანამშრომლები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მერიის მოქმედი თანამშრომლების საოლქო საარჩევნო კომისიების პროფესიულ წევრებად არჩევა ეწინააღმდეგება „ცესკოს წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურეობრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის N11/2017 დადგენილებას⁷³.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, კანონით დადგენილი წესით, მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მოითხოვა, შეწყვეტოდათ უფლებამოსილება N20 და N26 საოლქო საარჩევნო კომისიების იმ წევრებს, რომლებიც პარალელურად მერიის მოქმედ თანამშრომლებს წარმოადგენდნენ. ცესკომ ორგანიზაციის ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამავე დროს, პასუხში არ განუმარტავს უარის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები⁷⁴.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წესების დარღვევა

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის ივნისში, საარჩევნო სისტემის რეფორმირების მიზნით, კანონში მთელი რიგი ცვლილებები შევიდა. სხვა სიახლეებთან ერთად, ცვლილებმა ახალი წესები შემოიღო საარჩევნო სისტემაში, წინასაარჩევნო აგიტაციის, კამპანიისა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების პროცესში. საკანონმდებლო ნოვაციის ერთ-ერთ პროგრესულ მიღწევას საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლ ნაწილში „დ“ ქვეპუნქტის გაჩენა წარმოადგენს, რომელიც იმ პირთა ჩამონათვალს აფართოებს და აკონკრეტებს, ვისაც ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში მონაწილეობა⁷⁵.

ეს საკანონმდებლო ცვლილება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. გასულ წლებში ჩატარებული ყოველი არჩევნების დროს, მუდმივად,

⁷³ იხ. ცესკოს N11/2017 დადგენილება:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5216607?publication=0>

⁷⁴ იქვე, გვ 4-5.

⁷⁵ იხ. საქართველოს ორგანული კანონი “საარჩევნო კოდექსი”, 48 მუხლი, 1 ნაწილის “დ” ქვეპუნქტი.

განსაკუთრებით მწვავე პრობლემას წარმოადგენდა წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში საჯარო მოხელეებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების იძულებით ჩართვა. ადრე მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები არ ქმნიდა საკმარის გარანტიას მსგავსი შემთხვევების პრევენციისა და მათზე ეფექტური რეაგირების კუთხით.

ქვემო ქართლში ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანმა დამკვირვებელმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციასა და კამპანიასთან დაკავშირებული, კანონით განსაზღვრული, ზემოაღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი წესების დარღვევა გამოავლინა.

კერძოდ, 2021 წლის 1 სექტემბერს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარში, პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი, გიორგი წიკლაური წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით შეხვდა ამომრჩევლებს. ეს შეხვედრა, რომლის ამსახველი ფოტომასალა, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გიორგი წიკლაურის ოფიციალური ფეისბუკ გვერდიდან მოიპოვა, გაიმართა სოფელ ქოსალარის სკოლის დირექტორთან და ამავე სკოლის მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ასევე არიან სოფელ ქოსალარის #23 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და საუბნო კომისიის წევრები.

ვინაიდან ეს ფაქტი ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანმა დამკვირვებელმა იგი N26 საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა და მოითხოვა მერობის კანდიდატის, N23 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობა, რადგანაც ცალსახად დარღვეული იყო წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წესები, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესები⁷⁶.

მიუხედავად ამისა, N26-ე საოლქო კომისიის თავმჯდომარემ ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საუბნო კომისიის

⁷⁶ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლები 45, მე-4 ნაწილის, „ა“ ქვეპუნქტი და მუხლი 48 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168>

თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა საჩივრის განხილვისას წარმოადგინეს ახსნა-განმარტებები, სადაც აღნიშნეს, რომ სოფელში იმყოფებოდნენ დაკრძალვაზე, საიდანაც შემთხვევით მოხვდნენ ადამიანების შეკრებაზე. მათი განმარტებით, მოულოდნელად აღმოაჩინეს, რომ თურმე წინასაარჩევნო შეკრებაზე ყოფილან და ასევე მოულოდნელად გაიგეს, რომ შეხვედრაზე წინასაარჩევნო აგიტაცია მიმდინარეობდა, რის გამოც შეკრება მალევე დატოვეს. საოლქო საარჩევნო კომისიამ სარწმუნოდ მიიჩნია საუბნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მოცემული განმარტებები, მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეესაბამებოდა იმ ფოტომასალას, რაც მტკიცებულების სახით დაერთო საჩივარს⁷⁷.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა N26-ე საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც მოცემულ საქმეზე პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილება მიიღო⁷⁸. კერძოდ, სასამართლომ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარის N23 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მხრიდან აღგილი ჰქონდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას. ამ მუხლის თანახმად, საარჩევნო კომისიის წევრებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობის მატარებელი პირია, ვიდრე საქმის ფიგურანტი სხვა პირები, მის მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე. ამდენად, მას სახდელად დააკისრა ჯარიმის გადახდა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო კომისიის წევრთა მიმართ მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა და განმარტა, რომ ამის მიზეზი იყო მათი ჩართულობის მხოლოდ მოკლევადიანი მონაკვეთი, ასევე ისიც, რომ კომისიის წევრები შეკრებაზე არ აქტიურობდნენ⁷⁹.

⁷⁷ იხ. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრის ძირითადი მიგნებები, 2021. გვ.5 <http://hrc.ge/files/168cinasaarchevno%20periodis%20mopnitoringi.pdf>

⁷⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი: <http://www.hrc.ge/280/geo/>

⁷⁹ იხ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე N170510321005036111; 27.09.21)

საარჩევნო კომისიის წევრთა აგიტაციაში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა: „კანონმდებელმა აგიტაციაში მონაწილეობის უფლების არმქონე სუბიექტთა ნუსხაში პირველ ადგილას დააყენა საარჩევნო კომისიის წევრები, რომელთა ამ პროცესში ჩართვა ყველაზე დამაზიანებლად მიიჩნია საარჩევნო პროცესისთვის, ვინაიდან სწორედ ეს პირები უძღვებიან საარჩევნო პროცესს, ისინი აჯამებენ შედეგებს და მათი გადაწყვეტილება წარმოადგენს საბოლოო შედეგის საფუძველს. ამიტომ საარჩევნო კომისიის წევრთა ჩართულობა საარჩევნო აგიტაციაში ყოვლად დაუშვებელია“⁸⁰.

რაც შეეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის, გიორგი წიკლაურის პასუხისმგებლობის საკითხს, სასამართლომ დაადგინა მის მიერ საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, სწორედ მისი ორგანიზებული იყო მოცემული შეხვედრა, ის იყო აგიტაციის მთავარი წყარო და, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა იყო სააგიტაციო პროცესში საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დაცვა, რომლის თანახმად, დაუშვებელია აგიტაციაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებისა და მასწავლებლების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება, რაც მან ვერ უზრუნველყო და დაუშვა არა ერთი და ორი, არამედ ქოსალარის საჯარო სკოლის 6 მასწავლებლის მის აგიტაციაში მონაწილეობა. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევითი და ატარებდა წინასწარგანზრახულ, ორგანიზებულ ხასიათს⁸¹.

სასამართლოს შეფასებით, როცა საუბარია სკოლის დირექტორისა და მასწავლებლების განსაკუთრებულ რანგში აყვანასა და გამორჩევაზე, აქაც კანონმდებელმა „სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად, არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიიჩნია მათი აგიტაციის პროცესში ჩართვა პროფესიული ნიშნით განსაკუთრებით დამაზიანებლად საარჩევნო პროცესისთვის და დაანესა ამგვარი შეკრებების პრევენცია საკანონმდებლო დონეზე“. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოცემული საქმის ორი მოწმის დიდი

⁸⁰ იქვე. გვ. 6

⁸¹ იქვე. გვ. 8

ყურადღება მიიქცია სწორედ მასწავლებლების იქ ყოფნამ, რასაც ბუნებრივად ახლავს გარკვეული ზემოქმედება ადამიანებზე⁸².

თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ გიორგი წიკლაური ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის დარღვევისთვის. ამ ნორმის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას, საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამდენად, სასამართლომ გიორგი წიკლაურს დააკისრა ჯარიმა - 2000 ლარი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქოსალარის შემთხვევის მსგავსია წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ განთიადში დაფიქსირებული ფაქტი. სოფელ განთიადში, წალკის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“, ილია საბაძემ 2021 წლის 9 სექტემბერს, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, სააგიტაციო შეხვედრა გამართა სოფლის მოსახლეობასთან. სააგიტაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს წალკის N29 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, როლანდ ჭელიძემ და კომისიის ორმა წევრმა, რევამ დვალაძემ და როლანდ ძირკვაძემ. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა ილია საბაძემ თავად განათავსა სოციალური ქსელის - ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე. ამ მტკიცებულების მოპოვების შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრის გრძელვადიანმა დამკვირვებელმა დარღვევის შესახებ საჩივრით მიმართა წალკის N25 საოლქო საარჩევნო კომისიას. მან გაასაჩივრა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატისა და წალკის N29 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან საარჩევნო კოდექსის 45-ე (წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)) და 48-ე მუხლებით (წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა) გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტი და მოითხოვა შესაბამისი რეაგირება საოლქო საარჩევნო კომისიისაგან.

⁸² იქვე. გვ. 8.

წალკის N25 საოლქო საარჩევნო კომისიამ, თეთრიწყაროს N26 საოლქო საარჩევნო კომისიის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი არ დააკმაყოფილა. კომისიამ სარწმუნოდ მიიჩნია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების განმარტება, რომლის თანახმად, სააგიტაციო შეხვედრაზე ისინი შემთხვევით აღმოჩნდნენ. წალკის N25 საოლქო საარჩევნო კომისიამ დამაჯერებლად მიიჩნია ასევე მერობის კანდიდატის, ილია საბაძის განმარტება, რომლის თანახმად, მისთვის უცნობი იყო საჩივარში აღნიშნული პირების ვინაობა. ასევე, უცნობი იყო ის ფაქტი, ესწრებოდნენ თუ არა ისინი სოფელ განთიადში გამართულ შეხვედრას.

წალკის N25 საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ცენტრმა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა. წალკის მუნიციპალიტეტში თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი. ილია საბაძე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევისათვის, რომლის თანახმად წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, ილია საბაძეს დაეკისრა ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნო ასევე წალკის N29 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, როლანდ ჭელიძე და ამავე კომისიის წევრები: რევაზ დვალაძე და როლანდ ძირკვაძე. სასამართლოს შეფასებით, მათ დაარღვიეს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომელიც უკრძალავს საარჩევნო კომისიის წევრებს აგიტაციაში მონაწილეობას. საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, სახდელის სახედ თითოეულს 2000-2000 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

სასამართლომ არაღამაჯერებლად და არათანმიმდევრულად მიიჩნია მერობის კანდიდატისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი პოზიციები და ახსნა-განმარტებები⁸³. სასამართლომ დაადგინა, რომ ილია საბაძე წლების განმავლობაში იკავებდა წალკის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობას. მისი კანდიდატურის წარმდგენი ბოლო პერიოდებში იყო პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. წალკის N29 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით კი, იგი გასულ წლებში საარჩევნო პროცესებში მონაწილეობდა როგორც „ქართული ოცნების“ აგიტატორი. შესაბამისად, მერობის კანდიდატისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვინაობა, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის წევრებისათვის კი - შეკრების დანიშნულება და მიზანი⁸⁴. სასამართლომ ასევე ყურადღება მიაპყრო საქმეში წარმოდგენილ ფოტოსურათს, სადაც ცალსახად იყო დაფიქსირებული, რომ ფოტოზე წარმოდგენილი არც ერთი ზემოაღნიშნული პირი არ იმყოფებოდა მოძრაობის (გადაადგილების) რეჟიმში და მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). ეს კი ეწინააღმდეგებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს, რომლის თანახმადაც, ისინი შესვენებაზე გასვლისას შემთხვევით აღმოჩნდნენ სააგიტაციო შეკრებაზე, იქიდან გამომდინარე, რომ შეკრება კომისიის ადმინისტრაციული შენობის სიახლოვეს იმართებოდა⁸⁵.

პრობლემურია წალკის N25 საოლქო საარჩევნო კომისიის განმარტება, თუ რა წარმოადგენს აგიტაციაში მონაწილეობას. კომისიის განმარტებით, სააგიტაციო შეკრებაზე დასწრება არ არის აგიტაციაში მონაწილეობა, თუ მას თან არ ახლავს პირის მიერ შეკრებაზე განხორციელებული კონკრეტული საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის კანდიდატის არჩევას⁸⁶. ამის საპირისპიროდ, თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ ზემოაღნიშნულ ორივე საქმეზე მიიჩნია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ფიზიკური ყოფნა - დასწრება (არაშემთხვევითი ხასიათის) სააგიტაციო შეკრებაზე წარმოადგენდა

⁸³ იხ. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N081510321005117837

⁸⁴ იქვე, 88. 6

⁸⁵ იქვე, 88. 6

⁸⁶ N25 წალკის საოლქო საარჩევნო კომისია, საქმე N25/102, 10.10.2021.

აგიტაციაში მონაწილეობას ამ დასკვნის გამოტანისას სასამართლოს არ მიუჩნევია აუცილებლად მათი მხრიდან კანდიდატების არჩევის ხელშემწყობი რაიმე დამატებითი საჯარო მოქმედებების განხორციელება⁸⁷.

უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შეფასება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მორიგი საერთო არჩევნების შემთხვევაში იქმნება არაუგვიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა⁸⁸.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის No728 ბრძანებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების 2021 წლის ოქტომბრის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად, შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია. ასევე დამტკიცდა მისი შემადგენლობა და დებულება⁸⁹.

უწყებათაშორისი კომისიის სხდომებზე სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან ერთად, დამსწრის სახით, მუდმივად იყო წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ცენტრიც. პირველი სხდომა 13 ივლისს კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიმართა. კოვიდ პანდემიის გათვალისწინებით, სხდომათა დიდი ნაწილი zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, ონლაინ წარიმართა, რამდენიმე შეხვედრა კი იუსტიციის სამინისტროში ჩატარდა. უწყებათაშორისი კომისიის სხდომა იმართებოდა საჭიროებისამებრ, არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო

⁸⁷ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N081510321005117837

⁸⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხ.: 48.3-4 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168>

⁸⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის No728 ბრძანება „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ - <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5203076?publication=0>

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდგომ - კვირაში ერთხელ მაინც. საანგარიშო პეიროდში უწყებათაშორისი კომისიის 13 სხდომა ჩატარდა⁹⁰.

აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომაზე განხილულ საკითხთა უმრავლესობის შემთხვევაში, მოკვლევა ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით არ ხდებოდა სიღრმისეული გამოკვლევა, არ იყო წარმოდგენილი ყველა მხარის პოზიცია. შესაბამისად, კომისიის ცალკეულ წევრთა განმარტებები ხშირად სტანდარტული სახის და ფორმალური ხასიათის იყო, რაც ვერ უზრუნველყოფდა პრობლემად დაყენებული საკითხის რეალურ გამოკვლევას და მასზე შესაბამის რეაგირებას.

2021 წლის 29 სექტემბერს, უწყებათაშორისმა კომისიამ ორი რეკომენდაცია გამოსცა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეების, საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელების, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლების, აგრეთვე, საარჩევნო სუბიექტების მიმართ⁹¹.

პირველი რეკომენდაციით, კომისიამ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებს მოუწოდა, სამუშაო საათის განმავლობაში, ან როდესაც ისინი უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მონაწილეობა არ მიიღონ წინასაარჩევნო აგიტაციაში. ასევე, თავი შეიკავონ სასწავლო პროცესის პოლიტიზაციის თავიდან აცილების მიზნით, პოლიტიკური აგიტაციისგან/კონტრაგიტაციისგან სოციალური ქსელების გამოყენებით, მათი აღსაზრდელების/მოსწავლეების წინასაარჩევნო პროცესებში ჩართვისაგან და მაქსიმალურად გამიჭნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან⁹².

მეორე რეკომენდაციით, კომისიამ საჯარო მოხელეებს მოუწოდა, სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისას, არ მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში და თავი

⁹⁰ იხ. უწყებათაშორისი კომისიის სხდომების ოქმები: <https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1614>

⁹¹ იხ. უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები: <https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/1616>

⁹² იხ. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია პედაგოგებს: <https://bit.ly/3nh4Vxf>

შეიკავონ ნებისმიერი საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ მიმართულ შეხვედრებში მონაწილეობისაგან, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება და კანდიდატებმა თავისუფალ, არაკონფლიქტურ გარემოში შეძლონ ამომრჩეველთან ურთიერთობა. კომისიამ ასევე მიმართა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს, თავისუფლი და არაკონფლიქტური გარემოს უზრუნველსაყოფად, გასცენ მკაფიო მითითება, რათა მათმა მხარდამჭერებმა, განსაკუთრებით კი - საჯარო მოხელეებმა, თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისა და კონტრაგიტაციისაგან, ძალადობრივი ინციდენტების პრევენციისთვის⁹³.

გასული არჩევნებისგან განსხვავებით, კომისიას არ გამოუქვეყნებია საკუთარი საქმიანობის შუალედური ანგარიში, რაც შესაძლებელს გახდიდა კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულება/შეუსრულებლობის ტენდენციათა გაანალიზებას. ამასთან, კომისიას არ ესწრებოდა ოპოზიციურ პარტიათა უმეტესი ნაწილი, რაც საკითხთა განხილვის ხარისხს აუარესებდა.

მედიაგარემო

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო კამპანია შეზღუდულად, მაგრამ კონკურენტულ გარემოში წარიმართა. პოლიტიკურ პარტიათა კამპანიები განსაკუთრებით აქტიურად შექდებოდა მედიასა და ონლაინ გამოცემებში და ხასიათდებოდა განსხვავებული შეხედულებების მქონე საარჩევნო სუბიექტთა სიმრავლით.

მიუხედავად, პლურალისტური მედიაგარემოს არსებობისა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ტრადიციულად, მედიის პოლარიზაციის ხარისხი გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო და, ლოგიკურად, ყურადღება ადგილობრივ საკითხებს უნდა დათმობოდა, ძირითადი აქცენტი ყველა პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან მიპყრობილი იყო ურთიერთბრალდებებზე საარჩევნო პროცესის ხარვეზებთან დაკავშირებით, რამაც

⁹³ იხ. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია საჯარო მოხელეებს: <https://bit.ly/3jrDfVp>

ადგილობრივი საკითხები თითქმის სრულად გადაფარა. ამაზე განსაკუთრებული გავლენა ასევე იქონია ოპოზიციის მხრიდან არჩევნების რეფერენდუმად გამოცხადებაზე ყურადღების გამახვილებამ, ხოლო ხელისუფლებაში მყოფი ძალის მიერ აქცენტების კვლავ ყოფილი მმართველი პარტიის მარგინალიზების კამპანიის გააქტიურებამ.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, განსაკუთრებით გაიზარდა მედიის პოლარიზაცია. წინასაარჩევნო პერიოდში გახშირდა ჟურნალისტთა საქმიანობისათვის ხელშეშლისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ კრიტიკული აზრის მიუღებლობის შემთხვევები. მედიაპოლარიზაციამ გავლენა იქონია სხვადასხვა ტელეკომპანიების სარედაქციო პოლიტიკაზეც, რის გამოც წინასაარჩევნო პერიოდში რამდენიმე ჟურნალისტს სამსახურიდან წასვლა მოუწია. საყურადღებოა, ამ პერიოდში გამოკვეთილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივით გათავისუფლებაც.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა, გადაცემა „კვირის ინტერვიუს“ წამყვანი - ირაკლი აბსანძე 2021 წლის 9 აგვისტოს გაათავისუფლა, რის ოფიციალურ მიზეზად შრომის შინაგანანენის უხეში დარღვევა დაასახელა. თავად აბსანძე ამ ფაქტს 5-6 ივლისს მოვლენებთან დაკავშირებით მის კრიტიკულ შეფასებებს უკავშირებს და პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობს⁹⁴. 12 ივლისს პარტია „ქართული ოცნების“ ოფისთან გამართულ საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა შორის ერთ-ერთი სწორედ აბსანძე იყო, რომელსაც დაკავებისას ხელიც მოტყდა⁹⁵. სამსახურიდან გაშვებამდე, იგი ღიად აკრიტიკებდა მაუწყებლის ეთერში გასულ სიუჟეტს დავითგარეჯთან დაკავშირებით, რაც ამ საქმის ბრალდებულთა წინააღმდეგ წარმოებული სიძულვილის ხელშემწყობ ფაქტორად დაასახელა. აბსანძე საკუთარ გადაცემაშივე გახდა იმ დროს ვიცე-პრემიერისა და იუსტიციის მინისტრის - თეა წულუკიანის მხრიდან შეურაცხყოფის მსხვერპლი, მის მიერ დასმული კრიტიკული შეკითხვების გამო⁹⁶.

⁹⁴ „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე გაათავისუფლეს: <https://civil.ge/ka/archives/436166>

⁹⁵ პუბლიკა - „ირაკლი აბსანძე დააკავეს“ - <https://publika.ge/kheli-momtekhes-mklavi-savaraudod-saoperacioa-irakli-absandze/>

⁹⁶ იხ. „კვირის ინტერვიუ“, 2019 წლის 25 ნოემბერი <https://www.youtube.com/watch?v=c8rM--OWhok>

აბსანძის გათავისუფლება კრიტიკულად შეაფასა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებიც ჟურნალისტის გათავისუფლებას კრიტიკული პოზიციის ჩახშობად და კანონით გათვალისწინებული ფუნდამენტური პრინციპების დარღვევად მიიჩნევენ⁹⁷.

წინასაარჩევნო პერიოდში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ 12 აგვისტოს, ჯერ ტელენამყვანმა გურამ როგავამ⁹⁸, მოგვიანებით კი - 17 აგვისტოს, ნათია ცხომელიძემ დატოვეს⁹⁹. ორივე ჟურნალისტი საკუთარ გადაწყვეტილებას არხის სარედაქციო პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას, ხელისუფლების მხრიდან ჩარევასა და საკუთარი ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვას უკავშირებს.

25 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულ პირებს მინიმალური სასჯელი - 6 თვიანი პატიმრობა შეეფარდათ, რომლის ვადა განაჩენის გამოცხადების დროს ამოიწურა და შედეგად ისინი განაჩენის გამოცხადების დღესვე გათავისუფლდნენ¹⁰⁰. სასამართლოს გადაწყვეტილება კრიტიკულად შეაფასა კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისთვის“. კოალიციის შეფასებით, „ვახო სანაიას საქმეზე მართლმსაჯულება სათანადოდ არ აღსრულებულა“, მათივე აზრით, „ჟურნალისტისა და მის ოჯახის წევრებზე თავდასხმის ფაქტისადმი სასამართლოს რბილი დამოკიდებულება წარმოადგენს კრიტიკული მედიის მიმართ აგრესიის გაზრდის კიდევ ერთ საფრთხეს“¹⁰¹.

26 აგვისტოს, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა ტელეკომპანია „იმედმა“ უარი განაცხადა პარტია „ევროპული საქართველოს“ წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის საკუთარ ეთერში განთავსებაზე. ამის მიზეზად ტელეკომპანიამ სიძულვილის ენის შემცველი შინაარსი დაასახელა¹⁰².

⁹⁷ იხ. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ განცხადება: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/89000-irakli-absandzis-gathavisufleba-shesadzloa-mis-kritikul-mosazrebebs-ukavshirdebodes>

⁹⁸ იხ. რადიო „თავისუფლების“ სტატია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31405202.html>

⁹⁹ იხ. civil.ge -ის სტატია <https://civil.ge/ka/archives/436928>

¹⁰⁰ იხ. ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/437545>

¹⁰¹ იხ. კოალიციის განცხადება: <https://bit.ly/3jvdJyh>

¹⁰² იხ. ტელეკომპანია „იმედის“ განცხადება: <https://bit.ly/3puQwA5>

ტელეკომპანიის ეს გადაწყვეტილება საჯაროდ მოიწონა პრემიერ-მინისტრმა - ირაკლი ღარიბაშვილმაც¹⁰³.

გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნის პარტია „ევროპულ საქართველოში“¹⁰⁴ და 7 სექტემბერს ამ საკითხზე საჩივარი შეიტანეს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში¹⁰⁵. მოგვიანებით, კომუნიკაციების კომისიამ ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ „ევროპული საქართველოს“ საჩივარი დააკმაყოფილა და მაუწყებელს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. კომუნიკაციების კომისიამ წარდგენილი პოლიტიკური რეკლამა საქართველოს უზენაესი სასამართლოს (2021 წლის 25 მარტის განჩინება Nბს-1168(კ-20)) მიერ პოლიტიკური რეკლამისთვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შეისწავლა და დაადგინა, რომ რეკლამის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დადგენილ ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს, რომლებიც ასახულია შესაბამის კანონმდებლობაში¹⁰⁶.

საანგარიშო პერიოდში მრავალფეროვანი მედიაგარემო უაღრესად პოლარიზებული იყო, რაც მკვეთრად შეზღუდულ სივრცეს ტოვებდა ანალიტიკური და საგამოძიებო გაშუქებისთვის. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქება მნიშვნელოვნად შერჩევითი იყო, რაც ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას მკვეთრად უზღუდავდა. სატელევიზიო ახალ ამბებში ხშირად გვხვდებოდა პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის ფაქტები.

შეშფოთების საგნად რჩება, საარჩევნო პროცესების გააქტიურებასთან ერთად, მუდმივად მზარდი ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები, ჟურნალისტთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, დაშინებისა თუ შეურაცხყოფის ფაქტები. ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა არანაირი ნაბიჯი მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის. სახელმწიფო არ იცავს მედიის წარმომადგენლეთა სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. მმართველი პარტიის მაღალჩინოსნები აგრძელებენ პოლიტიკური ოპონირების რეჟიმში ყოფნას კრიტიკულ მედიასთან. მათ მიერ ტრადიციულ ქვეული სიძულვილის ენის

¹⁰³ იხ. პრემიერ მინისტრის - ირაკლი ღარიბაშვილის შეფასება: <https://bit.ly/3Ccf8RG>

¹⁰⁴ იხ. ევროპული საქართველოს ლიდერის, გიგა ბოკერიას განცხადება: <https://bit.ly/3jtMB30>

¹⁰⁵ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3jx8f6f>

¹⁰⁶ იხ. კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 12 სექტემბრის განცხადება: <https://bit.ly/3pvtY2j>

გამოყენება, აგრესია და ცალკეული ტელეკომპანიებისადმი ბოიკოტი კიდევ უფრო ახალისებს მედიაზე ისედაც მზარდ თავდასხმებს.

COVID-19 და არჩევნები

ახალი კორონავირუსის - COVID19-ის გავრცელებით გამოწვეულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ისეთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტზე, როგორცაა არჩევნები. საქართველოში 2021 წლის 2 ოქტომბერს, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, არჩევნები მეორედ ჩატარდა.

მიუხედავად ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობისა, წელსაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში არჩევნების ჩატარება უდიდეს გამოწვევას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლების უზრუნველყოფას შორის ბალანსის დაცვის კუთხით. 2021 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში ბოლო დღე-ღამეში ინფიცირებულთა რაოდენობა 1.751-ით გაიზარდა, გარდაიცვალა 30 ადამიანი. არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საქართველოში კოვიდ ინფიცირების 19.057 აქტიური შემთხვევა იყო, კოვიდ-კლინიკებში კი 4.169 პაციენტი იმყოფებოდა¹⁰⁷.

კოვიდ პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მნიშვნელოვნად დაეხმარა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცდილება, რომელიც, დადებითად შეფასდა როგორც ადგილობრივი¹⁰⁸, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ¹⁰⁹. ამავდროულად, აღსანიშნია, რომ მიუხედავად არსებული რეგულაციებისა, ბევრ საარჩევნო უბანზე დაცული არ იყო პანდემიის გავრცელების პრევენციისათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

¹⁰⁷ იხ. დეტალური ინფორმაცია კორონავირუსით ინფიცირებულთა შესახებ. <https://stopcov.ge/>

¹⁰⁸ იხ. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გ.გ. 21-25 <https://bit.ly/3pxnvE3>

¹⁰⁹ იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შემუდგული სადამკვირვებლო მისია საქართველოში საპარლამენტო არჩევნები, 31 ოქტომბერი, 2020 <https://www.osce.org/files/f/documents/6/f/467589.pdf>

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის შეიმუშავა რამდენიმე დადგენილების პროექტი, რომელშიც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ჩართული იყო ადამიანის უფლებათა ცენტრიც. დადგენილებებზე მუშაობის პროცესი ინკლუზიურად წარიმართა და ცესკოს მიერ გასული წლის გამოცდილებასთან ერთად, გაზიარებული იყო ჩართულ მხარეთა სხვადასხვა სახის ტექნიკური შენიშვნა, რომელიც არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას ეხებოდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე, გასული წლის გამოცდილების გათვალისწინებით, დაამტკიცა კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი. ცესკომ 2021 წლის 23 აგვისტოს მიიღო №52/2021 დადგენილება, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ¹¹⁰.

ცესკოს ამ დადგენილებით განისაზღვრა ის სანიტარულ-ჰიგიენური წესები, რომლის დაცვითაც უნდა მიეღოთ ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობა და რის მიხედვითაც უნდა ემოქმედათ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ჩართულ მხარეებს. სამუშაო პროცესში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, შეიმუშავდა დოკუმენტი, რითაც დარეგულირდა არჩევნების დღეს კენჭისყრის შენობებში შესვლის, გამოსვლის, ყოფნის, გადაადგილების, თერმოსკრინინგის, პირბადის გამოყენების, საარჩევნო უბანზე უფლებამოსილი პირის სხვა პირით ჩანაცვლების წესები.

კენჭისყრის შენობაში შესვლამდე თერმოსკრინინგის გავლის ვალდებულება დაეკისრათ როგორც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს, ისე საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირს; ასევე, მათ დაევალებათ ხელების დამუშავება პროტოკოლით დადგენილი წესით და პირბადის ტარება. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, დამატებით, უზრუნველყოფილი იყვნენ დამცავი ფარებითა და ერთჯერადი ხელთათმანებით. გასული წლის მსგავსად, კენჭისყრის

¹¹⁰ იხ. ცესკოს N52/2021 დადგენილება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5246160?publication=0>

შენობის შესასვლელებთან იყო დემობარიერი, ხელის დემინფექციისთვის საჭირო ხსნარი და ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციამ 2021 წლის დადგენილებითაც აიღო ვალდებულება ხშირად შეხებადი ზედაპირების სათანადო წესით დემინფექციისა და საარჩევნო უბნების შეძლებისდაგვარად ბუნებრივი ვენტილაციის თაობაზე.

2021 წლის 23 აგვისტოს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე მიიღო N53/2021 დადგენილება, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ¹¹¹.

დადგენილების თანახმად, ასეთ დაწესებულებაში მყოფ ასეთი კატეგორიის ამომრჩევლებს საშუალება მიეცათ, ხმის მისაცემად ესარგებლათ გადასატანი საარჩევნო ყუთებით, რომელთაც არაუმეტეს 17 წევრისგან შემდგარი სპეციალური ჯგუფები მოემსახურებოდნენ¹¹².

დადგენილებით განისაზღვრა, რომ იმ პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ თვითიზოლაციაში ან ბინაზე მკურნალობდნენ, შეიყვანდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გეპირი ან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით მიმართავდნენ ცესკოს 2021 წლის 25 სექტემბრიდან 2021 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 22:00 საათამდე¹¹³.

დადგენილების ნორმის ასეთი შინაარსით, გასული წლის მსგავსად, ბლანკეტურად გამოირიცხა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში იმ ამომრჩევლების მონაწილეობა, ვისაც 27 სექტემბრის 22:00 საათის შემდეგ მოუწევდათ თვითიზოლაციაში გადასვლა, ვინაიდან ცხელი ხაზი მხოლოდ 2021 წლის 25 სექტემბრიდან 2021 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 22:00 საათამდე მოქმედებდა¹¹⁴. ამდენად, წარმოდგენილი დადგენილებით, ამომრჩევლებს კონსტიტუციით გარანტირებული აქტიური საარჩევნო უფლებით

¹¹¹ იხ. ცესკოს N53/2021 დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5246174?publication=0>

¹¹² იქვე. მუხლი 2.3

¹¹³ იქვე. მუხლი 5.8

¹¹⁴ იქვე.

სარგებლობისთვის, გასული წლის მსგავსად, წელსაც არაგონივრულად მცირე დრო მიეცათ¹¹⁵.

არჩევნების დღეს, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ იდენტიფიცირებულ საერთო პრობლემას, ეპიდემიოლოგიური პროტოკოლით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფა წარმოადგენდა. მიუხედავად ცესკოს მიერ მიღებული ზომებისა, მონიტორინგისას გაირკვა, რომ არაერთ საარჩევნო უბანზე სრულად არ იყო დაცული დადგენილებით განსაზღვრული წესები. უბნების უმრავლესობაში ნაკადის მარეგულირებელთა მიერ ამომრჩეველთა ნაკადი სათანადოდ არ იყო რეგულირებული; მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული უბნების უმრავლესობაში, უბნებისთვის განკუთვნილი სივრცე შეუძლებელს ხდიდა უბანზე საარჩევნო ადმინისტრაციისა და დამკვირვებელთა ერთდროულად ყოფნას. გარდა უბნისთვის განკუთვნილი ფართის სიმწირისა, მათი უმრავლესობა არ ნიავდებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; ამასთან, მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა ამომრჩეველთა შორის დისტანციის დაცვა, რაც ცალკეულ შემთხვევებში, ასევე ფართის უკმარისობით იყო განპირობებული. მნიშვნელოვან პრობლემას ქმნიდა საარჩევნო უბნებზე პირბადის გარეშე გადაადგილება, როგორც ამომრჩეველთა, ისე თავად კომისიის წევრთა და დამკვირვებელთა მხრიდან. ამავე დროს, პანდემიის მიუხედავად, თითქმის ყველა უბანზე, საკვების მიღება ერთდროულად, უბნის ტერიტორიაზე განხორციელდა.

არჩევნები და ეთნიკური უმცირესობები

უმცირესობათა მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში დემოკრატიული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სახელწიფოს ჩამოყალიბებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს განხორციელებული საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობაში ეროვნულ უმცირესობათა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობის 13,20%-ს

¹¹⁵ იხ. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გ.გ. 22-23 <https://bit.ly/3pxnvE3>

შეადგენს¹¹⁶. მიუხედავად, ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ბოლო ათწლეულში განხორცილებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებისა¹¹⁷, ეთნიკურ უმცირესობათა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობა კვლავაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები არ იყო ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის წახილებზე, გამოწვევებსა და საჭიროებებზე¹¹⁸. ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები წინასაარჩევნო კამპანიაში სუსტად იყო წარმოდგენილი, გარდა ინტეგრაციის მხარდამჭერი ადგილობრივი გზავნილებისა. ბოლო წლების კვლევები მოწმობს, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებში განაწყენების, გაუცხოების, დაუცველობისა და უსამართლობის განცდა არსებობს¹¹⁹. ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ დაბალია, რაც პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის სუსტ კავშირზე მიუთითებს. ეს კი გავლენას ახდენს პოლიტიკურ ჩართულობაზე¹²⁰.

მონიტორინგის ფარგლებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ეთნიკურ უმცირესობებში არსებული ენობრივი ბარიერის განსაკუთრებული პრობლემა, რაც, თავის მხრივ, ბარიერს უქმნის მათ პოლიტიკურ ჩართულობას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით დაბალია ეთნიკური უმცირესობების მიმართვიანობა თვითმმართველი ორგანოებისთვის. კვლავ არ იქმნება უმცირესობების ენებზე თარგმნის რესურსები ადმინისტრაციული წარმოების და საჯარო კომუნიკაციის გასამართლებლად. ასევე, დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა

¹¹⁶ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები: <https://www.geostat.ge/ka>

¹¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია ეროვნულ უმცირესობებს სრულ პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს და კრძალავს დისკრიმინაციას ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით, ასევე ისეთი პოლიტიკური პარტიების ფორმირებას, რომლებიც ეთნიკურ შუღლს აღვივებენ და ტერიტორიული ნიშნით იქმნებიან. საარჩევნო კოდექსში განერილია, რომ საარჩევნო პროგრამების მეშვეობით არ უნდა მოხდეს ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდება.

¹¹⁸ იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანალიტიკური დოკუმენტი - „პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების პერსპექტივიდან“: <https://bit.ly/3vStcgM>

¹¹⁹ „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა“, ღია საზოგადოების ფონდი, 2021 <https://bit.ly/30YAuUY>

¹²⁰ ვახიშვილი, ლ. (2019). ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კვლავი ტენდენცია. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე, რასაც სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებებს საამისოდ საჭირო პოლიტიკური ნების დეფიციტი.

პოლიტიკური გაუცხოებისა და ექსკლუზიის პროცესში განსაკუთრებით მოწვევლად ჯგუფად რჩება ეთნიკური უმცირესობების ქალები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. საქართველოში ქალთა წარმომადგენლობის ზოგადად დაბალი მაჩვენებლის ფონზეც კი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ეს მაჩვენებელი შემამფოთებლად მცირეა¹²¹. მიუხედავად ამისა, 2021 წლის არჩევნებში ქალთა ჩართულობის მხრივ, გარკვეული დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა; თუკი, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არ იყო უმცირესობების წარმომადგენელი არც ერთი ქალი, 2021 წლის არჩევნების შემდეგ, მარნეულის საკრებულოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 5 ქალი იქნება.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა აღქმა უსაფრთხოების კონტექსტში, რაც ამ ჯგუფთა ინტეგრაციის პროცესს კიდევ უფრო აფერხებს. 2021 წლის არჩევნებისთვის, წარსულის მსგავსად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებულ პრობლემას კლანური მმართველობის პრაქტიკა და, რიგ შემთხვევებში, აქ მცხოვრებ ამომრჩევლებზე უკანონო ზემოქმედების ფაქტები წარმოადგენდა¹²².

ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის ხელშესაწყობად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული საარჩევნო დოკუმენტაციისა და საარჩევნო მასალის ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე მომზადებასა და ამომრჩეველთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მოქმედ საარჩევნო უბნებზე. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში, აგრეთვე - აფხაზურ ენაზე, ხოლო საჭიროების

¹²¹ Institute of Social Studies and Analysis. (2019). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. Tbilisi: OSGF.

¹²² იხ. არჩევნები ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში - ძირითადი ტენდენციების და პრაქტიკების ანალიზი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. <https://bit.ly/3bfbvyy>

შემთხვევაში – ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც. საარჩევნო უბნების იმ ამომრჩეველთა საარჩევნო სიები, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე საარჩევნო პერიოდში მათთვის გასაგებ ენაზეც უნდა განთავსდეს. საარჩევნო კოდექსი ასევე ითვალისწინებს ჩანაწერთა წიგნისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის, ქართულ ენასთან ერთად, ეთნიკური უმცირესობებისათვის გასაგებ ენებზე წარმოების შესაძლებლობას. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ჩანაწერთა წიგნი ინარმოება ქართულ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისათვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც, ჩანაწერთა წიგნი შეიძლება ინარმოებოდეს ამ ენაზეც. მსგავსი ჩანაწერი მოქმედებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან მიმართებითაც.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 348 საარჩევნო უბანი იყო შექმნილი¹²³, მათ შორის: 211 - ქართულ-აზერბაიჯანული, 133 - ქართულ-სომხური და 4 - ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული. მოქმედი რეგულაციების თანახმად, ამ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ამომრჩეველთა ერთიანი სია, საარჩევნო ბიულეტენი, ბიულეტენის შევსების წესი და კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი ეთნიკური უმცირესობების შესაბამის ენებზე¹²⁴.

როგორც მონიტორინგმა გამოავლინა, ეთნიკური უმცირესობების არაინფორმირებულობა საარჩევნო პროცედურებთან და ხმის მიცემის წესებთან დაკავშირებით, გასული წლების მსგავსად, კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ხელისუფლებამ უნდა გაატაროს უფრო ეფექტიანი ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველების ინფორმირებულობის გაზრდას საარჩევნო პროცესის ძირითადი საკითხების შესახებ. აუცილებელია, უფრო მეტად შეეწყოს ხელი სახელმწიფო ენის სწავლებას

¹²³ ცესკო, „მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები - ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული საარჩევნო უბნები“: <https://cutt.ly/9TjxzFI>

¹²⁴ ცენტრალური საარჩევნო კომისია, ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებისათვის: <https://cesko.ge/geo/list/show/124313-informatsia-etnikuri-umtsiresobebistvis-2021>

მათი სრულფასოვანი სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

კენჭისყრის დღის შეფასება

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ადამიანის უფლებათა ცენტრი 51 კვალიფიციური დამკვირვებლით საქართველოს სამ რეგიონში დააკვირდა: 1. კახეთში - საგარეჯოს, ყვარლის, თელავის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (ყარაჯალა, ჩანტლისყურე, თივი, სარუსო, კაბალი); 2. ქვემო ქართლში - გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში (ნახიდური, ტალავერი, სავანეთი, ჭაპალა, მამხვითი, ქვემო ართევანი, ქეშალო, ლამბალო, დუბაგრამა, საბათენდი, კალინინო, მარნეული, აზიზქენდი, საბირქენდი და ყიზილაჯლო); 3. იმერეთში ქუთაისის, ხონის, თერჯოლის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების სპეციფიკურ საარჩევნო უბნებზე, სადაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს დარღვევებს არჩევნების მიმდინარეობისას.

დამკვირვებელთა უმრავლესობა მთელი დღით საარჩევნო უბნებზე იყო მიმაგრებული, ხოლო კოორდინატორები კონკრეტული ოლქის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ, სხვადასხვა საარჩევნო უბანზე.

სტატიკური დამკვირვებლების მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისას, კოორდინატორები მყისიერად მიდიოდნენ საარჩევნო უბანზე. ადგილზე არსებული ვითარების შესწავლის და დარღვევებისა თუ სხვადასხვა ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, საზოგადოების ინფორმირება თბილისის ოფისთან კომუნიკაციით ხდებოდა.

საპარლამენტო არჩევნების მთელი დღის განმავლობაში, დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ საშუალება, ინფორმაცია მიეღოთ, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებ- გვერდიდან - www.hrc.ge, ასევე ადამიანის უფლებათა ცენტრის ფეისბუქ გვერდისა და სხვა სოციალური ქსელების მეშვეობით. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ ორგანიზებულ საარჩევნო მედიაცენტრში მოწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციების ბრიფინგებში, სადაც მთელი დღის განმავლობაში 3, მეორე დღეს კი - 1 ბრიფინგი გამართა. ამ ბრიფინგებზე ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი გასცემდა ინფორმაციას კენჭისყრის მიმდინარეობისას საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი დარღვევებისა და ზოგადი ტენდენციების შესახებ.

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნები 07:00 საათზე გაიხსნა, ხოლო 08:00 საათიდან საარჩევნო უბნებზე დაიწყო პირველი ამომრჩევლების მიღება¹²⁵. ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა კონკრეტული უბნები მოუმზადებლობის გამო დაგვიანებით გაიხსნა. ორგანიზაციის დამკვირვებლებს თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე მიეცათ შესვლისა და შეუზღუდავად დაკვირვების საშუალება. შეფერხებებს გამონაკლისი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, მარნეულის N23 ოლქის N48 საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელს თავდაპირველად უბნის შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების უფლებას არ აძლევდნენ. თუმცა, დამკვირვებლის მიერ უბნის თავმჯდომარისადმი შესაბამისი განმარტების მიცემის შემდგომ, ამ უბანზე მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ცალკეულ უბნებზე, მონიტორებს შეეძლუდათ საარჩევნო უბანზე წილისყრის დაკვირვების შესაძლებლობა. მარნეულის საარჩევნო ოლქის რამდენიმე უბანზე წილისყრის პროცედურები დარღვევებით წარიმართა, რაზეც ორგანიზაციის წარმომადგენელთა შენიშვნის მიუხედავად, საუბნო კომისია რეაგირებას არ ახდენდა და მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიის მეშვეობით გახდა რეაგირება შესაძლებელი.

კენჭისყრის პროცედურის დაწყებისას, სოფელ ყიზილაჯლოს 2 უბანზე საარჩევნო კაბინები არასწორად იყო განლაგებული, რითაც ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველყოფა შეუძლებელი ხდებოდა, რაც ორგანიზაციის დამკვირვებელთა შენიშვნების შემდგომ დაუყოვნებლივ გამოსწორდა. მარნეულის N22 ოლქის 48-ე უბანზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის რეაგირების მიუხედავად, ხმის მიცემის კაბინების სწორად განლაგების მოთხოვნა

¹²⁵ იხ. ცესკოს 2 ოქტომბრის განცხადება: <https://bit.ly/3EptGhO>

რამდენიმე საათში, საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა ჩართვის შემდგომ გახდა შესაძლებელი.

მთელი დღის განმავლობაში, კენჭისყრის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების შედეგად, ძირითადად ისეთი სახის პროცედურული და ტექნიკური დარღვევები გამოიკვეთა, რაც არჩევნების საერთო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა. გასული წლების მსგავსად, დარღვევათა უმეტესობა დაკავშირებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის პრობლემასთან, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ლინგვისტურ ბარიერებთან და საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნასთან. გასული წლის მსგავსად, წელსაც დამატებით ბარიერს ქმნიდა ახალი კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ შემუშავებული დამატებითი რეგულაციების არცოდნაც.

გარკვეული გამონაკლისების გარდა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ითვალისწინებდნენ დამკვირვებელთა მიერ მიცემულ როგორც სიტყვიერ ისე წერილობით გაფრთხილებას და შესაძლებლობის შემთხვევაში, მცირე ვადებში ხდებოდა პრობლემათა აღმოფხვრა. უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებს არ შექმნიათ ხელოვნური ბარიერი დაკვირვებასთან დაკავშირებით ან მათი შენიშვნებისა თუ წერილობითი საჩივრების ჩანაწერთა წიგნში დარეგისტრირებისას.

2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურებს ადამიანის უფლებათა ცენტრმა 51 დამკვირვებლით გაუწია მონიტორინგი. მთელი დღის განმავლობაში არაერთ დარღვევაზე რეაგირებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორებმა საარჩევნო უბნების დახურვამდე დაწერეს ჯამში 24 საჩივარი და 48 შენიშვნა შეიტანეს ჩანაწერთა წიგნში. 10 საჩივარი წარედგინა საოლქო საარჩევნო კომისიებს.

საოლქო საარჩევნო კომისიებში განხილვებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის 1 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ - საგარეჯოს N11 საოლქო საარჩევნო კომისიამ სოფელ ლამბალოს N50 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, იმრან ველიევის მიმართ გამოიყენა დისციპლინური

პასუხისმგებლობის ზომა - დისციპლინურ სახდელად შეუფარდა შენიშვნა. კომისიამ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა თავისუფლად ვერ დაარეგისტრირა საჩივარი საარჩევნო უბანზე. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისია ვალდებულია, შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ დამკვირვებელს შეეძლოს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება საარჩევნო კომისიაში მიმდინარე ყველა პროცედურასთან დაკავშირებით. ამ პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება კი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება.

სრულად დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის 1 საჩივარი მარნეულის N22 საოლქო საარჩევნო კომისიამ. კომისიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი N22 მარნეულის საარჩევნო ოლქში შემავალი N65 საარჩევნო უბნის გადასატანი ყუთის შედეგები, ვინაიდან ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული იყო. ლუქის მთლიანობის დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა გადასატანი ყუთის საარჩევნო უბანზე დაბრუნების შემდეგ. მიუხედავად ამისა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები აპირებდნენ გადასატანი ყუთში არსებული ბიულეტენების დათვლას და საერთო ხმებში ჩათვლას. ამ დარღვევის პრევენცია შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის აქტიურობის შედეგად, რომელიც დაუკავშირდა საოლქო კომისიის თავმჯდომარეს და შეატყობინა ფაქტის შესახებ. ოლქის თავმჯდომარე გამოცხადდა საარჩევნო უბანზე, კომისიის წევრებს დააწერინა ახსნა-განმარტება და ადგილზე მიიღო გადაწყვეტილება გადასატანი ყუთის დალუქვისა და ოლქში გადატანის თაობაზე. მისივე განმარტებით, ოლქში უნდა ემსჯელათ გადასატანი ყუთის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივრის განხილვის შედეგად კი საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გადასატანი ყუთის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ადამიანის უფლებათა ცენტრის **8 საჩივარი** არ დაკმაყოფილდა. აქედან ადამიანის უფლებათა ცენტრმა პირველი ინსტანციის სასამართლოებში **5 გადაწყვეტილება** გაასაჩივრა. წარდგენილი საჩივრები ეხებოდა:

- 1) N16 ყვარლის საარჩევნო ოლქის N11 საარჩევნო უბანს (ზედმეტი ბიულეტენების მოთავსება საარჩევნო ყუთში);
- 2) N22 მარნეულის საარჩევნო ოლქის N65 საარჩევნო უბანს (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ფუნქციის არაჯეროვანი შესრულება);
- 3) N23 ბოლნისის საარჩევნო ოლქის N50 საარჩევნო უბანს (ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა);
- 4) N23 ბოლნისის საარჩევნო ოლქის N40 საარჩევნო უბანს (ხმის მიცემის პროცედურის დარღვევა);
- 5) N22 მარნეულის საარჩევნო ოლქის N48 საარჩევნო უბანს (განმეორებით ხმის მიცემა).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არც ერთი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც ორგანიზაციამ, საქმეების პერსპექტიულობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში **4 გადაწყვეტილება** გაასაჩივრა. სააპელაციო სარჩელები ეხებოდა:

- 1) N16 ყვარლის საარჩევნო ოლქის N11 საარჩევნო უბანს;
- 2) N22 მარნეულის საარჩევნო ოლქის N65 საარჩევნო უბანს;
- 3) N22 მარნეულის საარჩევნო ოლქის N48 საარჩევნო უბანს.
- 4) N23 ბოლნისის საარჩევნო ოლქის N50 საარჩევნო უბანს;

სააპელაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ცენტრის არც ერთი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის შეფასებით, მისიის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევებს არჩევნების საერთო შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია, რიგ შემთხვევებში, იდენტიფიცირებული დარღვევები მძიმე იყო, რაც საერთო ჯამში აზარალებს არჩევნების უსაფრთხო და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას. გასული წლის მსგავსად, წელსაც, ყველაზე მეტი დარღვევა მარნეულის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა. სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები სხვადასხვა სახისაა. ტექნიკურ-პროცედურულ საკითხებთან ერთად, გამოიკვეთა ისეთი მძიმე დარღვევის ფაქტები, როგორიცაა: ფიზიკური ძალადობა, ჟურნალისტთა საქმიანობის ხელშეშლა, უკანონო აგიტაცია და სხვა.

არჩევნების დღეს დაფიქსირებული ძალადობრივი შემთხვევები: 2 ოქტომბრის არჩევნებზე, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ მარნეულის 22-ე ოლქში დაფიქსირდა.

მარნეულის სოფელ ყიზილაჯლოში, N48 საარჩევნო უბანზე, სადაც მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი, დაპირისპირება მოჰყვა უბანზე მისული მოქალაქის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის მცდელობას. ყუთთან მდგომი კომისიის წევრი მას არ აძლევდა კონვერტის ყუთში მოთავსების საშუალებას იმ არგუმენტით, რომ ამ კონკრეტულ ამომრჩეველს უკვე მიცემული ჰქონდა ხმა სასურველი კანდიდატისთვის. ამის შემდეგ ამ ამომრჩეველმა ძალის გამოყენებით შეძლო კონვერტის ყუთში მოთავსება, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

ინციდენტისას, დაშავდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორიც, რომლის მიმართ განსაკუთრებული აგრესიით ამავე უბნის კომისიის თავმჯდომარე გამოიჩინოდა. მან დამკვირვებელს ხელი კრა და კედელს მიანარცხა. დამკვირვებელი იძულებული გახდა, დაერეკა მარნეულის N22-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში. კომისიის წარმომადგენლების საარჩევნო უბანზე მოსვლის შემდეგ სიტუაცია დროებით განიმუხტა, მაგრამ მათი წასვლის შემდეგ უბანზე კვლავ ქაოტური სიტუაცია გაგრძელდა.

მძიმე ძალადობრივი ინციდენტი დაფიქსირდა მარნეულის 52-ე საარჩევნო უბანზეც, სადაც ლეიბორისტული პარტიის წევრი, ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრეს. გავრცელებული ცნობით, შსს-მ 2 ოქტომბრის არჩევნების დროს გამოვლენილი სხვადასხვა ინციდენტის გამო 16 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება¹²⁶. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ადმინისტრაციული წესით პოლიციამ 7 პირი დააკავა, მათ შორის, 3 ადამიანი - მარნეულში.

საარჩევნო უბნებთან ხელისუფლების მხარდამჭერების მობილიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წელს საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საარჩევნო უბნის მიმდებარედ შეკრების აქამდე არსებული 25-მეტრიანი შემლუღვა - 100 მეტრის მანძილამდე გაიზარდა. ამის მიუხედავად,

¹²⁶ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/566893/>

ადამიანის უფლებათა ცენტრის მისიის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემები ცხადყოფს, რომ ახალი რეგულაცია სრულფასოვნად ვერ მუშაობს.

ერთ-ერთი მიზეზი საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობაა. უბნების დიდი ნაწილი, რომელთაც ორგანიზაცია აკვირდებოდა, შეუსაბამოდ პატარა ტერიტორიაზე იყო მოწყობილი. ამასთან, ხშირად ისინი კომერციული დაწესებულებებისა თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობათა სიახლოვეს მდებარეობდნენ, რის გამოც 100 მეტრიანი მანძილის აკრძალვის აღსრულება რეალურად შეუძლებელი ხდებოდა.

ამასთან, დაკვირვების შედეგად გამოვლინდა არაერთი ფაქტი, რა დროსაც, საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყვნენ მმართველი პარტიის კოორდინატორები და აგიტატორები და აღრიცხავდნენ ამომრჩევლებს. მათ უკანონო ქმედებებზე არ ხორციელდებოდა სათანადო მონიტორინგი, კონტროლი და რეაგირება სახელმწიფო უწყებების მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით უშუალოდ ევალებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს. თავის მხრივ, პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჰქონდათ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს, რომელთა უბნის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობს ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის ხელშემშლელი და ჭანსალი საარჩევნო პროცესის დამაზიანებელი მოქმედებები. თუმცა, უმრავლეს შემთხვევებში, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები თავს იკავებენ პოლიციისთვის მსგავსი შეტყობინების მიწოდებისგან და აცხადებენ, რომ ამ ფაქტებზე რეაგირება არ მიეკუთვნება მათ უფლებამოსილებას.

გარდაბნის N21 საარჩევნო ოლქის N3-ე საარჩევნო უბნის ებოს შესასვლელთან იდგა ქალი, რომელიც უბანზე შესულ ყველა ამომრჩეველს საკუთარ რვეულში აღრიცხავდა. უბანზე მყოფმა დამკვირვებლებმა მას რამდენჯერმე მისცეს შენიშვნა ტერიტორიის დატოვების მოთხოვნით, მაგრამ - უშედეგოდ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ცნობით, პიროვნება დაახლოებით 10:00 საათისთვის პოლიციელებმა გაიყვანეს უბნიდან, მაგრამ ის ისევ დაბრუნდა. ამის შემდეგ ცენტრის წარმომადგენელი იძულებული გახდა, ისევ გამოეძახებინა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. სამართალდამცავებმა ქალი კიდევ ერთხელ გაიყვანეს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ბოლნისის 23-ე ოლქის N51 უბნის გარეთა პერიმეტრზე 09:30 საათისთვის იდგნენ ერთ-ერთი პარტიის (სავარაუდოდ - „ქართული ოცნების“) ე.წ. კოორდინატორები, რომლებსაც კვლევითი კომპანიის „ედისონ რისერჩის“ წარმომადგენლებთან მოუვიდათ დაპირისპირება. დაპირისპირება მალევე აღმოიფხვრა, მაგრამ მათ პერიმეტრი არ დაუტოვებიათ და აქტიურად ცდილობდნენ ამომრჩევლის მობილიზებას საარჩევნო უბანზე. ამ კონკრეტული ამომრჩევლების ნომრებს თავიდანვე ეძებდნენ ამომრჩეველთა სიაში, რომელიც გარეთ იყო გამოკრული.

დამკვირვებლების საქმიანობისთვის ხელის შეშლა

როგორც კენჭისყრის მიმდინარეობისას, ისე არჩევნების შედეგების შეჯამების ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ზეწოლის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

მარნეულის 22-ე ოლქის 48-ე უბნის კომისიის თავმჯდომარემ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს. იგივე პიროვნება განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ამავე უბანზე მყოფი სხვა არასამათავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებისადმი. ამასთან, 48-ე უბანზე დამკვირვებლებს მთელი დღის განმავლობაში უკრძალავდნენ ფოტო და ვიდეო გადაღებას და მას „თითების დამტვრევით“ ემუქრებოდნენ, რისი აღკვეთაც მხოლოდ 22-ე საარჩევნო ოლქის წარმომადგენელთა ჩართულობით გახდა შესაძლებელი.

საგარეჯოს N11 საარჩევნო ოლქის N50 საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე ხელს უშლიდა საარჩევნო უბნის დამკვირვებლებს სადამკვირვებლო საქმიანობაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით უბანზე დაიწერა საჩივარი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საჩივარი საგარეჯოს N11 საარჩევნო ოლქში ჩააბარა.

მსგავსი ვითარება იყო საგარეჯოს N11 საარჩევნო ოლქის 39-ე საარჩევნო უბანზე, სადაც კომისიის თავმჯდომარე კიდევ უფრო დიდი აგრესიით გამოირჩეოდა და ხელს უშლიდა დამკვირვებლებს სადამკვირვებლო საქმიანობაში. ამ ფაქტთან

დაკავშირებით დაინერა საჩივარი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა საჩივარი საგარეჯოს N11 საარჩევნო ოლქში ჩააბარა.

კენჭისყრის ფარულობის დარღვევა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მარნეულის N22 ოლქის N48 და N49 საარჩევნო უბნებზე გამოვლინდა ხმის მიცემის კაბინის არასწორად განთავსების შემთხვევები, რა დროსაც ირღვეოდა ხმის მიცემის ფარულობა.

მარნეულის 22-ე ოლქის 49-ე საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ ამ წესის დარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოავლინა. კერძოდ ენმ-ის წარმომადგენელი მუდმივად ისეთ ადგილს იკავებდა უბანზე, საიდანაც შეეძლო კაბინაში ხმის მიცემის პროცესზე დაკვირვება. რამდენიმე სიტყვიერი შენიშვნის და ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის შეტანის მიუხედავად, იგი ასეთ ქმედებას კვლავ აგრძელებდა. მოგვიანებით, იგი მოქალაქეს კაბინაშიც შეყვა და საკუთარი ხელით შემოახაზინა კონკრეტული სუბიექტი. ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჩივრით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვა ენმ-ის წარმომადგენლის უბნიდან გაძევება. მიუხედავად ამისა, კომისიის თავმჯდომარე მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა.

ბოლნისის N23 ოლქის N51 საარჩევნო უბანზე რამდენჯერმე დაფიქსირდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. კერძოდ, არაუფლებამოსილი პირების მიერ ადგილი ჰქონდა ამომრჩევლებთან ერთად კაბინაში შესვლას, მათივე განმარტებით - დახმარების მიზნით.

საეჭვო რეპუტაციის სადამკვირვებლო ორგანიზაციები

2021 წლის 2 ოქტომბის არჩევნებზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ისეთი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების სიმრავლე, რომლებიც ავლენდნენ მხარდაჭერას მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“, რიგ შემთხვევებში კი - პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

სადამკვირვებლო ორგანიზაციებს აქვთ ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, ნეიტრალური დამკვირვებლის როლში დააკვირდნენ საარჩევნო

პროცესებს და ამ გზით შეუწყონ ხელი პროცესის სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში წარმართვას.

მსგავსი საეჭვო რეპუტაციის სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული სამართალდარღვევის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა სხვა ავტორიტეტული სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერაც¹²⁷.

არჩევნების დღეს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ, ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როცა კონკრეტულ უბანზე ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის რამდენიმე დამკვირვებელი ერთდროულად იმყოფებოდა¹²⁸. დამკვირვებელთა რეაგირების შემდგომ, მსგავსი ინციდენტები აღმოიფხვრა.

კოვიდ რეგულაციების დაცვა

Covid-19-ის გავრცელებიდან გამომდინარე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წინასწარ მიღებული სპეციალური ზომების დაცვა, წელსაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა. რიგ შემთხვევებში, დარღვევების მიზეზი არა უშუალოდ საარჩევნო კომისიის წევრთა დაუდევრობა ან მათი მიზანმიმართული ქმედება იყო, არამედ - თავად საარჩევნო ინფრასტრუქტურის ამ წესებთან შეუსაბამობა.

ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ თითქმის ყველა უბანზე იდენტიფიცირდა თავად კომისიის წევრთა მიერ აღნიშნული რეგულაციების მიზანმიმართული დარღვევის ფაქტები, რაზეც, ხშირად, თავმჯდომარის მხრიდანაც არ ხდებოდა ადეკვატური რეაგირება.

პირველი ტურიდან მეორე ტურამდე

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენლები დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ პირველივე ტურში მოიგებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, მეორე ტური 20 მუნიციპალიტეტში დაინიშნა.

¹²⁷ იხ. საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება, TI, 2021. <https://bit.ly/3mkHhRe>

¹²⁸ ბოლნისის #23-ე ოლქის #51-ე უბანზე „ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის“ 3 წარმომადგენელი ერთდროულად იმყოფებოდა, რაც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევაა.

აღსანიშნია, რომ პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 1 300 საჩივარი შევიდა. 900-ზე მეტი საჩივარი გადათვლის მოთხოვნას შეეხებოდა, რაც უმეტეს შემთხვევაში არსებითად არ დაკმაყოფილდა.¹²⁹ არჩევნების შედეგების გაპროტესტების მიუხედავად, ოპოზიციურმა პარტიებმა მეორე ტურში მონაწილეობა გადაწყვიტეს.

ოპოზიცია ამ არჩევნებს პირველი ტურის შემდეგაც „რეფერენდუმად“ მოიხსენიებდა. მათი ეს განცხადებები ეფუძნებოდა ჩანაწერს „შარლ მიშელის შეთანხმებაში“, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 43%-ს ვერ აიღებდა, რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩანიშნულიყო. აღსანიშნავია, რომ არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემდეგ ამ საკითხზე დისკუსია ინტენსიურად აღარ გაგრძელებულა. შესაძლოა, ეს გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ცესკო-ს მონაცემებით, პირველ ტურში, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 46,74% მიიღო. თუმცა, ოპოზიციის ბრძოლა მერებისა და მაჟორიტარების არჩევნებში გაგრძელდა.

თავდაპირველად, ოპოზიციურ პარტიებს მმართველ გუნდზე მეტი მხარდაჭერა 6 მუნიციპალიტეტში ჰქონდა, თუმცა პირველივე ტურში გამარჯვებისთვის საკმარისი რაოდენობა - არც ერთში. საბოლოოდ, ხუთივე თვითმმართველ ქალაქში და, დამატებით, 15 თემში მერების ასარჩევად მეორე ტური ჩაინიშნა. გარდა ამისა, 24 საარჩევნო ოლქში გამოცხადდა მეორე ტური საკრებულოების მაჟორიტარი დეპუტატების ასარჩევად.

2021 წლის 1 ოქტომბერს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ იმყოფებოდა საქართველოში. მმართველი პარტია, „ქართული ოცნება“ უარყოფდა¹³⁰ გავრცელებულ ინფორმაციას და აცხადებდა, რომ სააკაშვილი უკრაინაშია და არ დაუტოვებია უკრაინის ტერიტორია. თუმცა მოგვიანებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს გრიგოლ ლილუაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია. კერძოდ, 2021 წლის 2

¹²⁹ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3k9a8VWW>

¹³⁰ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31487335.html>

ოქტომბერს, შსს-ის განცხადებით, შსს-ს თანამშრომლებმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე დამნაშავედ ცნობილი, ძებნილი სააკაშვილი თბილისში დააკავეს¹³¹. დაკავებულმა სააკაშვილმა ამავე დღეს საპატიმროში შიმშილობა გამოაცხადა.

თავდაპირველად, მიხეილ სააკაშვილის ქვეყანაში შემოსვლის გზა უცნობი იყო, თუმცა, მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ მან ქვეყანაში შემოსასვლელად საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით დაიწყო¹³².

2021 წლის 4 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებასთან აქცია გაიმართა. რამდენიმე ათეული მანქანის კოლონა თბილისიდან პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზებით დაიძრა. მხარდამჭერებმა სააკაშვილის გათავისუფლება მოითხოვეს.

2021 წლის 14 ოქტომბერს, თბილისში, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი ხალხმრავალი აქცია გაიმართა. მასში მონაწილეობისთვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ავტომობილებით მოქალაქეები ორგანიზებულად ჩამოვიდნენ - მათ გზად ხვდებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მოწინააღმდეგეები ცოცხებით და ყავარჯნებით, მათი განმარტებით - „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმბოლოებით¹³³.

2021 წლის 27 ოქტომბერს, მმართველმა ძალამ - „ქართულმა ოცნებამ“, თბილისში, თავისუფლების მოედანზე მხარდამჭერებთან ერთად ე.წ. შემაჯამებელი შეკრება გამართა. შეკრებაზე დასასწრებად მმართველმა ძალამ მოქალაქეები როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოიყვანა. პარალელურად, ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია „ქართული ოცნების“

¹³¹ იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება სრულად: <https://bit.ly/3BIOQFD>

¹³² იქვე.

¹³³ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31509892.html>

მიერ „სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების“ თაობაზე. „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის“ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, მათ მიიღეს სარწმუნო ცნობები, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს ზემდგომებმა მისცეს მითითება, მონაწილეობა მიეღოთ „ქართული ოცნების“ მიერ ჩატარებულ აქციაში, რაც წუხილს ზრდის მმართველი პარტიის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით¹³⁴.

ეთო/ოდირის ანგარიშის თანახმად, „ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა არჩევნების ორ ტურს შორის შენარჩუნდა“. ყურადღება მახვილდება პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაზე, რომ „ნებისმიერი მუნიციპალიტეტი, რომელშიც ოპოზიცია გაიმარჯვებს, განცალკევდება ცენტრალური ხელისუფლებისგან და არ ექნება პროექტების განხორციელების შესაძლებლობა“¹³⁵.

საბოლოო ჯამში, მეორე ტურისთვის საარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა პირველი ტურისთვის დამახასიათებელი თავდასხმითი და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებით. მეორე ტურამდე, განსაკუთრებით - ბოლო ორ კვირაში, ადგილი ჰქონდა ცალკეულ ინციდენტებს, მათ შორის, მმართველი პარტიის ოფისის გარეთ დაპირისპირებასა და ოპოზიციასთან დაკავშირებული ყოფილი პოლიციელების დაკავებებს¹³⁶.

რაც შეეხება მედიაგარემოს, კვლავ პოლარიზებით ხასიათდებოდა. ბევრი კერძო ტელევიზია ან ღია მხარდაჭერას გამოხატავდა მმართველი პარტიის მიმართ და ოპოზიციას უარყოფითად აშუქებდა, ან პირიქით - აშკარა ტენდენციურობას ავლენდა მმართველი პარტიის წინააღმდეგ.

მეორე ტური

არჩევნების მე-2 ტურის სადამკვირვებლო მისია

¹³⁴ იხ. მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ, OSCE/ODIHR. <https://bit.ly/3o6GJOG>

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ იხ. ინფორმაცია სრულად: <https://mtavari.tv/news/61091-standartuli-ghonisdziebebia-araperi>

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2021 წლის 30 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის მიმდინარეობას 3 მუნიციპალიტეტში დააკვირდა. ორგანიზაციის 9 დამკვირვებელი გადანაწილებული იყო ქუთაისის, თელავისა და რუსთავის საარჩევნო უბნებზე. ორგანიზაციის მობილურმა ჯგუფებმა არჩევნებზე ამ სამი ქალაქის მაქსიმალურად ყველა საარჩევნო უბანი მოიცვა. მონიტორინგმა ასევე მოიცვა ქ. თელავის მე-17 საარჩევნო ოლქის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ყარაჯალაში განთავსებული ოთხი საარჩევნო უბანი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა უბნის გარე პერიმეტრზე მიმდინარე პროცესების დაკვირვებაც.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრი მთელი დღის განმავლობაში აწვდიდა მედიას ინფორმაციას სხვადასხვა უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების ფაქტებისა და ტენდენციების შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ხმის მიცემის პროცესის მიმდინარეობის პარალელურად, დღის განმავლობაში ორი ბრიფინგი გამართა მედიაცენტრში, რომელიც ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით კვლავ მუშაობდა. დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე, პროაქტიულად ქვეყნდებოდა ორგანიზაციის ინტერნეტ-გაზეთში - www.humanrights.ge , ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე - ფეისბუკ გვერდზე - <https://www.facebook.com/humanrights.ge> .

ძირითადი მიგნებები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებისგან მიღებული ინფორმაციით, რომელიც არჩევნების მეორე ტურზე დაკვირვების შედეგებს ეყრდნობა, სამივე ქალაქში კენჭისყრის პროცესი, ძირითადად, მშვიდ და სამართლიან გარემოში წარიმართა. ორგანიზაციის დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე.

მეორე ტური საარჩევნო უბნებზე მობილიზებულ დამკვირვებელთა დიდი რაოდენობის ფონზე წარიმართა. პირველი ტურისგან განსხვავებით, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოპოზიციური პარტიების დამკვირვებლები,

რომელთა მიერ დარღვევების იდენტიფიცირებისა და მიმართვის პირობებში, ტექნიკური ხარვეზების მყისიერი აღმოფხვრა ხდებოდა.

საარჩევნო უბნები, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები აკვირდებოდნენ, ძირითადად, დროულად გაიხსნა. პირველი ტურისგან განსხვავებით, საარჩევნო უბნების გახსნა, კომისიის წევრების უფლებამოსილებათა გადანაწილება და სხვა საკითხები, ძირითადად შესაბამისი პროცედურების დაცვით წარიმართა.

საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის კაბინები ახალი რეკომენდაციის შესაბამისად იყო მოწყობილი. დამკვირვებლები ამომრჩეველს კაბინაში წინა მხრიდან ხედავდნენ, მაგრამ მის მიერ უშუალოდ ბიულეტენზე ხმის მიცემის დანახვა შეუძლებელი იყო. კაბინების ამ წესით მოწყობა დაკავშირებული იყო ცესკოდან უახლეს მითითებასთან და მიზნად ისახავდა პრევენციას, რათა ამომრჩეველს არ ჰქონოდა მანიპულაციის (ბიულეტენის თან წაღების ან მისი შეცვლის) საშუალება. ხმის დათვლის შედეგების გათვალისწინებით, კაბინების ახალი წესით მოწყობა, მისიის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა. გასულ წლებთან შედარებით, მოქალაქეებზე გაცემულ და ხმის დათვლამდე საარჩევნო ყუთში მოთავსებულ ბიულეტენტა რაოდენობას შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მიუხედავად ამისა, კენჭისყრის პროცესის დროს გამოიკვეთა ისეთი სახის დარღვევები, როგორცაა უკანონო აგიტაცია, ხმის მიცემის პროცედურების დარღვევა, დამკვირვებელთა შეურაცხყოფის ფაქტები და სხვა.

თელავის N17 საარჩევნო ოლქის N39 საარჩევნო უბანზე ნაკადის მომწესრიგებელმა ორი ამომრჩეველი გადაგასული პირადობის მოწმობით შეეშვა, რაც ერთ-ერთმა დამკვირვებელმა დააფიქსირა და ეს ამომრჩევლები გააბრუნეს უკან¹³⁷. ამ ფაქტის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს მოუწოდა, ნაკადის მომწესრიგებელს გამოეჩინა მეტი ყურადღება, რომ მსგავსი ფაქტები აღარ განმეორებულიყო. საპასუხოდ, კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც თავმჯდომარის

¹³⁷ იხ. ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20424&lang=geo>

მეუღლე აღმოჩნდა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ ინციდენტის გამო, დამკვირვებელმა საარჩევნო უბანზე დაწერა საჩივარი და მოითხოვა თავმჯდომარისთვის და კომისიის წევრისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთივე მოთხოვნით ცენტრმა საჩივარი დაარეგისტრირა თელავის N17 საოლქო საარჩევნო კომისიაში¹³⁸. საოლქო საარჩევნო კომისიამ ადამიანის უფლებათა ცენტრის საჩივარი არ დააკმაყოფილა. კომისიის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ცენტრმა თელავის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ საარჩევნო უბნების მიმდებარედ დაფიქსირდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევები.

რუსთავის მე-20 საარჩევნო ოლქის N3 საარჩევნო უბანზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი საკუთარ ბლოკნოტში იწერდა მისული ამომრჩევლების სახელებსა და გვარებს¹³⁹. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დამკვირვებელმა მისცა მითითება, რომ შეწყვეტილიყო ამომრჩევლის აღრიცხვა. ეს შენიშვნა დამკვირვებელმა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ მიიღო ზომები და დარღვევა აღმოფხვრა.

რუსთავის მე-20 საარჩევნო ოლქის მე 4-ე საარჩევნო უბანთან ახლოს, ამ შემთხვევაში - 100 მეტრის მოშორებით, გაურკვეველი პირები, რომლებმაც დამკვირვებელს ვინაობა არ დაუსახელეს, ასევე, აღრიცხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩევლებს¹⁴⁰. მათ თან ჰქონდათ სიები, სადაც უბნისკენ მიმავალ ამომრჩევლებს ნიშნავდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა გადაიღო ვიდეო¹⁴¹, სადაც ამ პირებმა განაცხადეს, რომ ისინი ამომრჩევლები არიან და თან არანაირი სიები არა აქვთ.

რუსთავის მე-20 საარჩევნო ოლქის 83-ე, მე-5 და მე-8 საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებმა შენიშვნები შეიტანეს ჩანაწერთა წიგნში, რაც ეხებოდა რეგისტრატორების მიერ უბანზე მისული ამომრჩევლების რეგისტრაციის ნომრების

¹³⁸ იხ. ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20424&lang=geo>

¹³⁹ იხ. ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20421&lang=geo>

¹⁴⁰ იხ. ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20422&lang=geo>

¹⁴¹ იხ. ვიდეო: <https://www.youtube.com/watch?v=0Q5otzq9nKI>

ცალკე ფურცელზე მონიშნას. დამკვირვებლებმა საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს მოუწოდეს, დროულად აღკვეთილიყო დარღვევები, რის შემდეგაც რეგისტრატორებმა შეწყვიტეს ამომრჩევლების სარეგისტრაციო ნომრების ცალკე ფურცელზე მონიშვნა.

რეგისტრატორების მსგავს ქმედებას კონფლიქტი მოჰყვა რუსთავის მე-20 საარჩევნო ოლქის 74-ე საარჩევნო უბანთან, სადაც პოლიციამ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კაპანაძე დააკავა. საარჩევნო უბანზე კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ოპოზიციის დამკვირვებელმა დარღვევის თაობაზე საჩივარი დაწერა. მასთან მხარდასაჭერად მივიდა გიორგი კაპანაძე, რომელიც უბნის ტერიტორიიდან სამართალდამცველებმა გაიყვანეს.

არჩევნების მეორე ტურის დაკვირვების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოუვლენიათ. საარჩევნო უბნების ოქმების მიღების, შემოწმებისა და ატვირთვის პროცესი უმეტესად გამჭვირვალედ და ეფექტიანად წარიმართა.

მედიაგონიძორიანის ძირითადი ასპექტები

ადამიანის უფლებათა ცენტრი, უშუალოდ საარჩევნო უბნებზე მივლინებული დამკვირვებლების გარდა, არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობისას, მთელი დღის განმავლობაში იღებდა ინფორმაციას სხვადასხვა მედიასაშუალებებისგან.

შემაშფოთებელი იყო ზოგიერთ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული ძალადობრივი ინციდენტები და დაპირისპირება, რა დროსაც შეურაცხყოფა მიაყენეს არჩევნებზე აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებსაც¹⁴². თბილისში, ვაზისუბნის 62-ე საარჩევნო უბანთან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თბილისის მერობის ოპოზიციონერ კანდიდატს - ნიკა მელიასაც¹⁴³. მნიშვნელოვანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებული გამოძიება¹⁴⁴ ობიექტურად და მიუკერძოებლად წარიმართოს და პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობდა ძალადობრივ ქმედებებში. ასევე, აუცილებელია

¹⁴² იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2ZWvfo9>

¹⁴³ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/2ZVRXNU>

¹⁴⁴ იხ. ვრცლად: <https://bit.ly/3001L9i>

გამოძიებულ იქნას არჩევნების დროს დაფიქსირებული ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ყველა ფაქტი. აუცილებელია, შსს-მ გამოძიებისა და მისი შედეგების შესახებ საზოგადოების ზუსტი და დროული ინფორმირება მოახდინოს.

შემაშფოთებელი იყო ქალაქ თბილისის მოქმედი მერისა და „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის - ვახა კალაძის განცხადებაც, რითაც მან მმართველი პარტიის აგიტატორებსა და აქტივისტებს მოუწოდა, გაეგრძელებინათ სიებით ხელში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ამომრჩეველთა აღრიცხვა. კერძოდ, ვახა კალაძემ განაცხადა: „საქართველოს კანონმდებლობით მოქალაქეებს, მათ შორის - პარტიის აგიტატორებს და აქტივისტებს აქვთ ფოტოსურათებიანი სიების ქონის და ამ სიების მიხედვით ამომრჩევლების აღრიცხვის უფლება. ეს არ არის არავითარი დარღვევა და ამიტომ, ნურავინ შეეცდება ამ საბაბის გამოყენებით რაიმე დაძაბულობის შექმნას. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ამ ადამიანებს, ეს იქნება ჩვენი პარტიის წევრები, აგიტატორები. მეგობრებო, თქვენ გაქვთ ამის უფლება, კანონიერად იქონიოთ ეს სიები და ის 100-მეტრიანი რადიუსი, რაც არის, იდგეთ და გააგრძელოთ თქვენი საქმიანობა. არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს“¹⁴⁵.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა¹⁴⁶.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისული ამომრჩევლების აღრიცხვა კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მიღმა ტერიტორიაზეც პრობლემურია. მსგავსი მოქმედებები წარმოადგენს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე კონტროლს და ხელს უშლის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნების მონიტორინგისას, კენჭისყრის დღეს (როგორც პირველ, ასევე მეორე

¹⁴⁵ იხ. ვახა კალაძის განცხადება: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31537083.html>

¹⁴⁶ იხ. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 45, ნაწილი 12.

ტურზე) დაფიქსირდა ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევები როგორც კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე, ასევე - 100 მეტრის მიღმა ტერიტორიაზე.

ნაცვლად იმისა, რომ მმართველი პარტიის ერთ-ერთ ლიდერს პარტიის წარმომადგენლებისთვის მოეთხოვა, შეეწყვიტათ ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის საწინააღმდეგო მოქმედებები, მან - ქალაქ თბილისის მოქმედმა მერმა და ამავდროულად, მერობის კანდიდატმა, კენჭისყრის მიმდინარეობისას თავისი განცხადებით მსგავსი მოქმედებები წაახალისა.

დასკვნა

ხელისუფლებისა და საჯარო ინსტიტუტების ლეგიტიმურობის განმაპირობებელი უმთავრესი ნიშანი მათდამი მოქალაქეთა სანდოობაა. საჯარო პოლიტიკის წარმატება კი, სწორედ ხელისუფლებისა და საჯარო ინსტიტუტების ქმედებებისა და გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას ეფუძნება.

სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მოქალაქეთა ნდობის დეფიციტის გათვალისწინებით, არჩევნების დემოკრატიული ხასიათის გაძლიერება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. თავის მხრივ, არჩევნების დემოკრატიულობა კომპლექსურად უნდა შეფასდეს და იგი ვერ იქნება დამოკიდებული მხოლოდ კენჭისყრის დღის ან სხვა ცალკეული პროცედურის კანონის დაცვით წარმართვასთან. არჩევნების დემოკრატიული ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო პროცესების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მოქალაქეთათვის თანაბარი ხმის მიცემის უფლების გარანტიების შექმნა. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ამომრჩეველთა ყოვლისმომცველ განათლებასა და მათ ზუსტ ინფორმირებულობას, ასევე - წვდომას პლურალისტურ, ობიექტურ და დაბალანსებულ მედიაგაშუქებასთან, რათა ამომრჩეველს ჰქონდეს რეალური ინფორმაცია და ჭეშმარიტად თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

ამ მხრივ, 2021 წლის ივნისში საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები შეიძლება შეფასდეს წინგადადგმულ ნაბიჯად - ქვეყნის

დემოკრატიული განვითარების გზაზე. საარჩევნო რეფორმის შედეგად საარჩევნო კომისიების ფორმირების ახალი მოდელი იძლევა შესაძლებლობას, რომ კომისიებში მმართველ პარტიას აღარ ჰქონდეს დომინანტური მდგომარეობა; ამის მიუხედავად, კომისიათა დაკომპლექტების ანტიკორიპსული მოდელის გაჩენით, არსებული ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში, ეს შესაძლებლობა მინიმუმამდე მცირდება. თუმცა, ცვლილებების შედეგად, უფრო ხელშესახები გახდა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების კონტროლი; გაუმჯობესდა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღმკვეთი ნორმები; განისაზღვრა მკაფიო კრიტერიუმი კენჭისყრის შედეგების დადგენის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დასათვლელად. ეს და სხვა არაერთი ცვლილება, რომელიც საარჩევნო რეფორმის შედეგად, ქართულ საკანონმდებლო ბაზაში გაჩნდა, მიუხედავად კვლავ არსებული გარკვეული ხარვეზებისა, იძლეოდა საკმაოდ კარგ შესაძლებლობას არჩევნების დემოკრატიულად ჩასატარებლად.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა არჩევნების მაღალი ხარისხის დემოკრატიულობით ჩატარების შესაძლებლობას იძლეოდა, ამ ბაზისის სრულად გამოყენება მაინც ვერ მოხერხდა. მოქმედი რეგულაციებით, უკეთესი არჩევნების ჩატარება, მხოლოდ კანონმდებლობისა და მისი სულისკვეთების განუხრელი დაცვით და სათანადო პოლიტიკური ნების არსებობით იქნებოდა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, მეტწილად - წინასარჩევნო პერიოდში გამოვლენილმა მთელმა რიგმა დარღვევებმა, რაც უფრო მეტად ხელისუფლებას მიემართება და მოიცავს ადამინისტრაციული რესურსის უკანონოდ ხარჯვის მანკიერ პრაქტიკას, სახელმწიფოსა და პარტიას შორის საზღვრების მოშლას, პოლარიზაციისა და სიძულვილის ენის გაღრმავების ხელშეწყობასა და ა.შ., შეუძლებელი გახადა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ჩატარება. ეს კი ნეგატიურად აისახება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

რეკომენდაციები

წინასაარჩევნო კამპანიის უკეთეს გარემოში წარმართვისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

პოლიტიკურ პარტიებს:

- არჩევნებში ჩართულმა ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა თავი შეიკავოს წინასაარჩევნო კამპანიაში სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის გამოყენებისგან, რაც პოლიტიკურ პოლარიზაციას ამძაფრებს. ასევე - თავი შეიკავონ პიროვნებებზე დაფუძნებული კამპანიის წარმართვისაგან და თავდასხმებისგან. სანაცვლოდ კი გაზარდონ პოლიტიკური ხედვების კონცენტრირება ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;
- ამომრჩეველთათვის გააზრებული არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, პოლიტიკური სუბიექტების მიერ დასახელებული კანდიდატები უფრო აქტიურად ჩაერთონ წინასაარჩევნო კამპანიაში, უფრო ინტენსიურად აწარმოონ ამომრჩევლებთან შეხვედრები და მეტი კონცენტრაცია მოახდინონ პოლიტიკური პროგრამების მათთვის გაცნობაზე. ხოლო ეთნიკური უმცირესობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში უზრუნველყონ აღნიშნული ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება;
- საარჩევნო პროცესის გაჭანსალების ხელშესაწყობად, აუცილებელია, პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა და მათი კანდიდატების მიერ პარტიათა ქცევის კოდექსის მნიშვნელობის გააზრება და მისი დაცვის უზრუნველყოფა;
- სამართლიანი და თანასწორი არჩევნების უზრუნველსაყოფად, არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის განუხრელი დაცვა; მათ უარი უნდა თქვან ძალადობაზე და ამომრჩევლის მოსყიდვასა თუ დაშინებაზე.
- პოლიტიკურ პარტიათა ანგარიშვალდებულობის გაზრდისთვის, დააწესონ შიდაპარტიული, მკაფიო და მკაცრი სანქციები კანონდარღვევებზე;
- მმართველი პარტიის კანდიდატებმა შეწყვიტონ ადმინისტრაციული რესურსის, მათ შორის, საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო სკოლებში დასაქმებული პირების საარჩევნო მიზნით გამოყენება. მოქმედმა მერებმა,

რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ მერობის კანდიდატებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თავი შეიკავონ ადმინისტრაციული რესურსის, მათ შორის, მერიების ოფიციალური საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების საარჩევნო მიზნით გამოყენებისაგან; წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის თუ არჩევნების შემდგომ პერიოდში, ამომრჩეველთან კომუნიკაციის დროს გააძლიერონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ნორმების დაცვა;

- ხელი შეუწყონ ქალთა პარტიულ საქმიანობაში ჩართულობის გაზრდას და ამ მიზნით, უზრუნველყონ შესაბამისი შიდაპარტიული მექანიზმების დანერგვა;
- ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობების ჩართვას პოლიტიკური საქმიანობის ყველა დონეზე. მათ შორის, უზრუნველყონ შიდაპარტიული მექანიზმის შემუშავება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისთვის. გააძლიერონ ეთნიკური უმცირესობით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობასთან კომუნიკაცია;
- საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა შეწყვიტონ ამომრჩეველთა ნების კონტროლის მანკიერი პრაქტიკა, ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზემოქმედება და ამომრჩეველთა აღრიცხვა.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- საარჩევნო კომისიები დააკომპლექტოს კვალიფიციური პირებით;
- იზრუნოს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ცოდნის ამაღლებაზე წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წესებთან და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების დაუშვებლობასთან დაკავშირებით;
- იზრუნოს საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა ცოდნის ამაღლებაზე დამკვირვებელთა უფლებებთან დაკავშირებით;
- ხელი შეუწყოს ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო პროცედურებისა და ხმის მიცემის წესებთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს კენჭისყრის ოთახისთვის გამოყოფილი სივრცისთვის მინიმალური ფართის ისე განსაზღვრა, რომ კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლებამოსილების მქონე პირებს ჰქონდეთ თავისუფლად გადაადგილების და კენჭისყრის პროცედურებზე სრულყოფილად დაკვირვების შესაძლებლობა;
- სხვადასხვა უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებისა და საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობით, უზრუნველყოს საჩივრების, ხმების დათვლასთან და შედეგებთან დაკავშირებული განცხადებების ირგვლივ არსებული პროცედურების გამარტივება;

საგამოძიებო ორგანოებს:

- დროულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიონ ოპოზიური პოლიტიკური პარტიების კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები;
- დროულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიონ ჟურნალისტებისა და მედიასაშუალებების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ადეკვატური რეაგირება განახორციელოს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე ამომრჩეველთა აღრიცხვის შემთხვევებზე და საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, დააჯარიმონ კანონდამრღვევი პირები;